რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 17 აპრილი 1918 წ. 109

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 88 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 88

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"

ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი: ლადო, ვანიჩკა, მატრონა და ვოლია ფხაკაძეები, პორფილე, ნესტორ და ფეოდოსია ქორიძეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავებს პირველის მეუღლის, მეორის, მესამის და მეოთხის რძალის, მეხუთის დისა, ხოლო მეექვსეს და მეშვიდეს ბიძაშვილის საყვარელ და დაუვიწყარ

აგრაფინა სიმონის ასულის ფხაკაძის

უდროვო გარდაცვალებას, რომლის გამომშვიდობება და დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 17 აპრილს. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 12 საათზე თავის ბინიდან (მე-5 უბანი ვორონცოვის ქ. № 105) და დაასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—2).

თავზარ დაცემულნი და ღრმად დამწუხრებულნი ნატალია, ერმილე და თამარა სარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის, ხოლო მეორე საყვარელი ძმის

ვასიკო სარიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, სად აჯიკაბულში ბოლშევიკებთან შეტაკების დროს 6 აპრილს. (2—1)

კავკასიის წიგნის კოოპერატივი „პროსვეშჩენიე"

(განათლება) ყიდულობს და იღებს საკომისიოთ ძველსა და ახალ

წ ი გ ნ ე ბ ს

სხვადასხვა შინაარსისა და ყველა ენაზე დაწერილს. ადრესი: მიხეილის პროსპექ. № 93 (ყოფილი მაღაზია ჩიჩქინისა). იქვე იყიდება საკანცელიარიო ნივთები. (2—1)

ი. ზუბალაშვილის სა ელობის ქალაქის სახალხო სახლი. სახ. სახლ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრე სამშაბათს 17 აპრილს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

ლ ა ქ ი ა

ტრაღიკომედია 3 მ. ქმ. ნაროდინ სა თარგ. კ. ზამანაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, გოგოლაშვილი, იანქოშვილი, ნ. ნინო-, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ.ბ. გოცირიძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, თაყდგირიძე, ჭანკვატაძე.

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.—35 კ.—მდე შემდეგი წარმოდგენა 24 აპრილს. (2—2)

ამხ. მიღის მუშებო

...კვეთეთ თოხები და ხახნის-საკვეთი გენრიხ ილგთან.

ადრესი: თფილისი, რიყე, 19 თებერვლის ქუჩა № 77. (1—1)

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სადამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ სახ სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტე-ლის გვერდით ტელ 15—00.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებაა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—87

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილი იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფ ხს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის-დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## წარსულის გაკვეთილები

შეშინებული და დაქანცული მოქალაქე გამარჯვებას დღესასწაულობს. ზავის მოლოდინში ის წინდაწინვე განცხრომას გრძნობს, რადგან ტკბილი ოცნება მას ერთი წუთითაც არ სტოვებს. საბუთიც აქვს სიხარულის: ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს აკაკი ჩხენკელს ოსმალეთმა დეპეშით აცნობა—ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ვცნობთ და მალე დელეგატები ჩამოვლენ ბათუმში საზავო მოლაპარაკების გასამართავათო.

ჩვენ ჯერ კიდევ ტრაპიზონის მოლაპარაკების დროს ვაფრთხილებდით ხალხს, რომ ზავზე ოცნება საშიში ოცნებაა, რომ თუ ზავი გვინდა, ომისათვის უნდა ვემზადოთ, რადგან იმპერიალისტები მხოლოდ შეიარაღებულ ძალას უწევენ ანგარიშს.

საუბედუროთ ხალხმა ვერ შეიგნო ეს ანბანური ჭეშმარიტება, მთავრობას კი საჭირო ძალდატანებითი აპარატი არ აღმოაჩნდა და სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენ ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების შემყურე უმოქმედობას განვაგრძობდით, ოსმალეთის ჯარი ჩვენს საზღვრებს უახლოვდებოდა და იქ თანდათანობით მაგრდებოდა. ჩვენმა გულგრილობამ დაგვაკარგა ბათუმი და მტერი ქუთაისის გუბერნიაშიც შემოვიდა. და მხოლოდ აქ გამოირკვა ხალხისათვის სავსებით მტრის განზრახვა. ვამბობთ ხალხისათვის, რადგან ხელმძღვანელები თავიდანვე გრძნობდენ ამას და აშკარათ მიუთითებდენ მოსალოდნელ საფრთხეზე, მაგრამ ხალხის გულს ეს არ ეკარებოდა. და როცა მტერი საქართველოს შუაგულში შემოიჭრა, მხოლოდ მაშინ მოხდა ცვლილება ხალხის სულიერ განწყობილებაში. ამ გამოცოცხლების ჩინებული ნაყოფი ჩვენ ვიხილეთ ჩოლოქთან ბრძოლაში, სადაც ჩვენმა ჯარმა თავგანწირული და გმირული ბრძოლით სასტიკათ დაამარცხა ძლიერი მტერი და უკან დაახევია.

დღეს ჩვენსა და ოსმალეთის ჯარებს შორის დროებითი შერიგებაა ჩამოვარდნილი და საზავო მოლაპარაკება უკვე ოფიციალურათ არის დაწყებული. ჩვენი და ოსმალეთ-ავსტრია-გერმანიის დელეგატები ბათუმში მოიყრიან თავს და ზავის პირობების შემუშავებას შეუდგებიან.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან ერთათ ჩვენც სიხარულით ვეგებებით ამ მოვლენას და ვფიქრობთ, რომ შეუძლებელი არ არის ზავის ჩამოგდება, მაგრამ ჩვენს მოვალეობათ ვთვლით შევმართოთ ხალხს იმავე გაფრთხილებით, რომლითაც არა ერთხელ მივმართეთ მას ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დროს: **ვისაც ზავი სურს, ომისთვის უნდა იყოს მზათ.**

კიდეც რომ გულწრფელათ სურდეს ოსმალეთს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი არსებობა და ჩვენთან ზავის ჩამოგდება, გადაჭრით მაინც არ შეგვიძლია დამშვიდებით ვიყოთ და საქმე გათავებულათ ჩავთვალოთ. ვინ იცის, რამდენი ახალი გარემოება წამოყოფს თავს საზავო მოლაპარაკების დროს. დავა რომ მარტო ჩვენსა და ოსმალეთს შორის იყოს, მაშინ სულ ადვილათ შეიძლებოდა საქმის გათავება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ერთი კოალიციიდან მეორეში გადავედით, ომი კი ამათ შორის ისევ სწარმოებს და ერთი მოწინააღმდეგე ჩვენ უკვე გვყავს ბოლშევიკურ რუსეთის სახით. გარდა ამისა ოსმალეთის დეპეშაში ერთი ახალი, ჩვენთვის თითქმის მოულოდნელი ცნობაა გადმოცემული: ჩრდილოეთ კავკასიამ უკვე აღიარა თავისი დამოუკიდებლობა და ამიერ-კავკასიის საზღვრებში სურს შემოსვლაო.

თავის თავათ აქ ცუდი არაფერია, რასაკვირველია: ახალ კუთხის შემოსვლას ჩვენს ნორჩ რესპუბლიკაში ახალი ძალის მიმატება შეუძლია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გადაჭრით თქმა, მართლა სასარგებლო იქნება თუ არა ჩვენთვის დაღესტანჩეჩნეთის შემოერთება. ჩვენ არ ვამბობთ, რომ, როგორც ძველი რომაელები ფიქრობდენ, დანაელების ძღვენიც საშიშია, მაგრამ მაინც დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ოსმალეთი საზავო წინადადებაში გვაცნობებს ჩრდილოეთ კავკასიის სურვილს. კითხვა იბადება: ხომ არ აქვს ამას ოსმალეთის მხრით ულტიმატის, მოთხოვნის ხასიათი და რამე დაფარული განზრახვები ხომ არ ამოქმედებს ოსმალეთის მთავრობას: ჩვენ ვიცით, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთა წვრილი ერები, მათ შორის ლეკები და ჩეჩნები დღეს ბრძოლას აწარმოებენ კაზაკებთან და მათმა შემოერთებამ შეიძლება კაზაკებთან ომში ჩაგვაბას, რაც ჩვენთვის სულაც არ არის სასურველი.

ჩვენ არ გვინდა პესიმისტი ვიყოთ, მაგრამ არც იმისი ნება გვაქვს, რომ თვალები დავხუჭოთ და გარემოებას მივანდოთ ჩვენი არსებობის საკითხი. ჩვენ უნდა თვით ჩავერიოთ დროთა ბრუნვაში და ჩვენი არსებობისათვის საუკეთესო პირობებს თუ ვერ შევქმნით, იმდენი მაინც უნდა გავაკეთოთ, რომ ყველა არამზადასთვის დაბალ ლობეთ არ გადავიქცეთ და მომავალ თაობის შესაჩვენებელი არ გავხდეთ.

ჩვენი რესპუბლიკა ნორჩი სახელმწიფოა, მას ბევრი მტერი ყავს, როგორც შინ, ისე გარეთ. ჩვენ სუსტი და ღარიბი ერი ვართ და საერთაშორისო განწყობილება და დიდ სახელმწიფოების ნება-სურვილი როგორ აგვითამაშებს არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ ჩვენთვის დღესავით ნათელია: თუ ჩვენ ვერ შევსძელით დავიცვათ ის დამოუკიდებლობა, რომელიც უკვე გამოაცხადა სეიმმა, ჩვენი საქმე წასულია: დამოუკიდებლობის დაკარგვა საშინელს და სამარცხვინო მონობაში ჩაგვაგდებს.

და თუ ჩვენ გვსურს მონობას უღელი ავიცილოთ, სხვა გზა, ბრძოლის გარდა, ჩვენ არ დაგვრჩენია. ნუ ვფიქრობთ, ვინმე გარეშე მტერი დაგვეპყრობა, სამაგიეროთ მოვისვენებ და ჩემს დღიურ საქმეებს შევუდგებიო. მხოლოდ გაბატონებულ კლასებს შეუძლიათ მოიგონ გარეშე მტრის შემოსვლით, დემოკრატია კი გარდა ამისა, რომ თავისუფლებას და მიწას დაკარგავს, ვერც ომის კლანჭებს გადაურჩება: შემოსული გარეშე მტერი მალე ძალდატანებით შეგვაიარაღებს და რომელიმე ფრონტზე გაგვგზავნის სასიკვდილოთ.

ამიტომ ვინც იარაღს გაექცევა, ვინც თავდაცვაზე უარს იტყვის, მას სულერთია ომში მონაწილეობა არ ასცდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ მას დღეს საშუალება აქვს იბრძოლოს, როგორც თავისუფალმა მოქალაქემ და საკუთარ საქმისათვის, ხვალ, როცა მისი დაუდევრობის გამო გარეშე მტერი შემოგვესევა, მას ბრძოლა და სისხლის დაღვრა მოუხდება, როგორც მონას და სხვისი საქმისათვის.

ვისაც ზავი სურს, ემზადოს ომისათვის! ან სახელოვანი გამარჯვება, ან სამარცხვინო სიკვდილი! პირველს მოგვცემს ჩვენი ინტერესებისათვის ბრძოლა, ჩვენი დამოუკიდებლობის იარაღით დაცვა, მეორემდე შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენს გულგრილობას.

ნუ დავივიწყებთ ტრაპიზონს და ბათუმს! გვახსოვდეს ჩოლოქი!

## ახალი სტილი

ჩვენი კალენდარი დღემდე 13 დღით ჩამორჩენილი იყო ნამდვილ დროთა ბრუნვას.

წელიწადში 365 დღე ითვლება. ნამდვილათ კი დედამიწა მზის გარშემო შემოვლას უნდება 6 საათით და რამდენიმე წუთით მეტი ერთ წელიწადზე. აი ამ ზედმეტი დროს დახარჯვის გამო ყოველი წელიწადი 6 საათით და რამდენიმე წუთით უფრო მოკლეა, ვინემ ნამდვილათ უნდა იყოს. 6 საათის დ საფარავათ ყოველ 4 წელიწადს ემატება ერთი დღე. მაგრამ ზედმეტი წუთები კი ანგარიშს გარეშე რჩება. ამ ზედმეტ წუთებისგან დღემდე დაგროვდა სულ 13 დღე. ევროპაში და თითქმის მთელ დედამიწის ზურგზე ამიტომ 13 დღით წინ არის კალენდარი. როცა ჩვენში 1 იანვარია, სხვაგან მაშინ 13 იანვარია და ასე ბოლომდის.

ამ ბოლო დროს ახალი ანგარიში შემოიღეს რუსეთშიაც. ასე რომ დღეს რუსეთში უკვე 30 აპრილია. ჩვენში კი მხოლოდ 17 წარმოდგენით. სათავრეთშიაც კი ახალი კალენდარია შემოღებული. მხოლოდ ჩვენ ვიყავით ჩამორჩენილი ამ საერთო კალენდარს. ამიტომ ჩვენ კალენდრებში დღე ცდება. ქვეყნისთვის ეწერა მეორე ევროპიული ციფრიც. თუ დახედავთ, დღევანდელ კედლის კალენდარს, ამოიკითხავთ, რომ იქ დღეს უკვე 30 აპრილია, ხვალ კი 1 მაისი.

ამ პირველ მაისს ხვალ მთელი ქვეყნის მუშები იდღესასწაულებენ, უნდა ვიდღესასწაულოთ ჩვენც. მაგრამ აქამდე ჩვენში ამ დღეს 18 აპრილი ერქვა, ევროპაში კი 1 მაისი.

ასეთი არევ დარევა კალენდრის ბევრ უხერხულობას იწვევდა ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ მოეღო ბოლო ასეთ წესისათვის. ამიტომ ხვალიდან ჩვენშიაც, 1 მაისი იქნება. ასე რომ წელს ანგარიშში ის შევა 18—30 აპრილია. ეს სახელები დაიკარგება ამ ერთი წლით. წლევანდელი წელიწადი ამიტომ 13 დღით მოკლე იქნება ჩვეულებრივ წელიწადზე. მას ექნება მხოლოდ 252 დღე. ამით ჩვენ გადავალთ ევროპიულ კალენდარზე. ყველა დღესასწაულები თავის ადგილს დარჩება. მაგ. მარიამობა ისევ 15 აგვისტოს იქნება, ღვთისმშობლობა 8 ენკენისთვეს, შობა 25 დეკემბერს.

ამგვარათ რაკი წელიწადი შემოკლდება, უნდა გაგრძელდეს ვადა ყველა სასამართლოს, ვექსილის და სხვა ასეთი ვალდებულებისა 13 დღით, რომ ექსვსითვის ვადით გაცემულ ვექსილს მართლაც სრული ექსვი თვის შემდეგ გაუვიდეს ვადა და არა 13 დღით ადრე. ამიტომ თუ ვექსილის ვადა გადიოდა 15 მაისს, წელს ვადა დაუდგება 28 მაისს. და ასე სხვა. ეს იქნება მხოლოდ წელს, რადგან შეკვეცილი აპრილი მხოლოდ ამ ერთ წელიწადს გვექნება. გაისათ და შემდეგში კი აპრილიც 30 დღით იქნება, და ყველა სხვა თვეც თავის ძველი წესით იმდინარებს. ამ რიგათ წელს ჩვენ ერთი ნახტომით გადავდივართ ახალ სტილზე; ვეწევით განათლებულ კაცობრიობას.

მომავალ დღესასწაულებსაც წელს სხვა საქრისტიანოსთან ერთათ ვდღესასწაულობთ. მაგ. აღდგომა რუსეთში და სხვა საქრისტიანო ქვეყნებშიაც 5 მაისს არის, ესე იგი მომავალ კვირას.

აქედან ცხადია კალენდრის გამოცვლას მიზნათ აქვს არა სარწმუნოების შეხება, როგორც ზოგიერთები ჰკრიკანობენ, არამედ ევროპიული ანგარიშის შემოღება, განათლებულ ქვეყნებთან გათანასწორება.

## მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრში

13 აპრილს, სეიმის სხდომის შემდეგ, სასახლის თეთრ დარბაზში შედგა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. სხდომას დაესწრო 200 მდე წევრი და აუარებელი გარეშე პირები. ყველას აინტერესებდა საკითხი, თუ რას იტყოდა რევოლიუციონური ცენტრი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ.

თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ ომისა და ზავის საკითხთან შეკავშირებული ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ ხანებში. იგი, სხვათა შორის, შეეხო ჩოლოქის ბრძოლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ვ. გოგუაძე და რომლის დროს დიდი ზარალი მიაყენეს ოსმალეთის ჯარს. დამსწრენი მხურვალე ტაშით და ხანგრძლივი ოვაციებით მიეგებენ ამ ბრწყინვალე გამარჯვების გმირს, ვალოდია გოგუაძეს, რომელიც დაესწრო სხდომას. მისი ფარაჯა მტრის ტყვიით არის დაფლეთილი, მხარზე გადაკიდებული აქვს თავისი ერთგული მაუზერი და ბინოკლი. ევგენი გეგეჭკორმა გააცნო დამსწრეთ მისი წარსული მოღვაწეობა, აღნიშნა, თუ რა სამსახური გაუწია მან რუსეთში მომავალ ეშელონებს. ამ დროს ვილაცამ წამოიძახა, არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილაო, ე. ი. თქვენ კი არ დახმარებიხართ ეშელონებს, არამედ ხელს უწყობდით მათ განადგურებასო. ამ გაუგებრობის გასაფანტავათ ვ. გოგუაძემ ჩვენ გადმოგვცა შესაფერი დოკუმენტი, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის №-87 ნომერში და რომლიდანაც მკითხველი აშკარათ დაინახავს, თუ რა როლი ითამაშა ვ. გოგუაძის ჯავშნიან მატარებელმა ეშელონების გაცილების საქმეში. ე. გეგეჭკორმა შემოიტანა წინადადება ეწოდოს ვ. გოგუაძეს რევოლიუციის პირველი მხედარი. ეს წინადადება ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით იქნა მიღებული. ვ. გოგუაძემ თავის მხრით მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მისალმებისა და გულწრფელი შეხვედრისათვის და სთქვა, ვფიცავ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ სულის ამოთქმამდე დავიცავ რევოლიუციის ინტერესებსო, კვლავ ტაში, კვლავ ოვაცები...

ამის შემდეგ ამხ. ირ. წერეთელი აკეთებს ვრცელ მოხსენებას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. აქ—დაიწყო ირ. წერეთელმა—ერთმა ამხანაგმა გამოსთქვა გაკვირვება, რატომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ საკითხი ირჩევა ცენტრში მას შემდეგ, რაც ის უკვე გადაჭრა სეიმმაო. ჩვენ გვინდა, რომ არსებობდეს ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლოს ასეთი საკითხების გადაჭრა და სეიმმა, რომელშიაც წარმოდგენილია ამიერ კავკასიის ყველა ერები ყველაზე უფრო გაუმჯობესებულ საარჩევნო კანონის ძალით, გადასჭრა ეს საკითხი. და ეს სრულებითაც არ არის საბჭოთა უფლებების შებღალვა. დღეს ჩვენ უნდა გადავსჭრათ ეს საკითხი, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სეიმს ჰქონდა სრული უფლება ამ საკითხის გადაჭრისა. ჩვენ შეგვეძლო ომის წარმოება ისე, რომ არ ჩამოგვეყალიბებია შესაფერ ფორმაში ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა. მაგრამ უამისოთ ჩვენ არ შეგვეძლო ზავის ჩამოგდება. დემოკრატიაში არ გამქრალა ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მცხოვრებთა შორის ენტუზიაზმმა იჩინა თავი მაშინ, როცა მტერმა გადმოლახა ძველი საზღვრები. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გარეშე დემოკრატიას არ შეეძლო ზავის ჩამოგდება. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ვერ მისცა ზავი რევოლიუციონურ რუსეთს და ჩვენც ვერ მოგვცემდა მისი აღიარება გარანტიას, თუ ჩვენ ვიქნებოდით რუსეთის ნაწილი. მე ვიცი, რომ ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ეწევიან აგიტაციას. ამიტომ მე წამოვაყენებ აქ მთავარ საბუთებს დამოუკიდებლობის სასარგებლოთ, რომელიც მოწინააღმდეგეებმა დაარღვიონ იგი. ჩვენ რომ ბოლშევიკურ რუსეთის ნაწილათ გვეცნო თავი, ამით თითქოს დავეყრდნობოდით კიდეც მას. მაგრამ ჩვენ არამც თუ ვერ მივიღეთ დახმარება ბოლშევიკურ რუსეთიდან, წინააღმდეგ, ბოლშევიკებმა მოინდომეს გამოეყენებიათ ჩვენი მძიმე მდგომარეობა და გაერღვიათ მთლიანი ფრონტი (ტაში). ჩვენ მივმართეთ მათ. მართალია, არ გვიცვნია საბჭოთა მთავრობა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ სოც. დემოკრატიამ უნდა დაუჭიროს მხარი რევოლიუციონურ დემოკრატიას იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ყველაფერს მივსცდემდით დახმარებისათვის, ვერ მოვსპობდით მხოლოდ ხალხის არსებობის ძირითად საფუძველს. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მოგვცა გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და თუ ოსმალეთი შიგ ხედავათ ამისა კვლავ განაგრძობს წინსვლას, ჩვენ პროტესტს განვაცხადებთ ამის წინააღმდეგო. და თუ დიპლომატიაზე მიდგა საქმე, მაშინ ნება მოგვეცით იმ დიპლომატიას უფრო ვენდოთ, რომელსაც არა აქვს სახელი გატეხილი—ამიერ კავკასიის დემოკრატიას, ვინემ ბოლშევიკურ რუსეთს. ევროპის პროლეტარიატის თვალში მას შემდეგ, რაც რუსეთს უკვე გაუტყდა სახელი, ჩვენ უფრო ფართო ადგილი გვექნება მსოფლიო დემოკრატიის შორის (ხმები: მართალია; ტაში). საუბედუროთ, ჩვენი დამოუკიდებლობა არის დამარცხების შედეგი. ჩვენ რომ მოგვეხერხებინა არდაგანის, ყარსის და ბათუმის შენარჩუნება, დამოუკიდებლობა მაინც უნდა გამოგვეცხადებინა, ვინაიდან იქ, რუსეთში თვით სოციალიზმის დროშა დაეცა. ჩვენ გვეგონა, რომ იგი აღსდგებოდა, ამიერ-კავკასიის დემოკრატია იცდიდა, სანამ მას დანა არ დაადეს ყელში. და დღეს დანაშაული იქნებოდა, თუ ამიერ-კავკასია არ გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას ... ხის მოლოდინში.

გადაწყვეტილება უკვე მიღებული

დღეს შეიძლება კამათი იმის შესახებ, თავის დროზე მოხდა ეს თუ არა.

სახალხო წარმომადგენლობის—სეიმის თვითგამორკვევა მოხდა დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. ნუ თუ გაბედავს ვინმე იმის დამტკიცებას, რომ სეიმი ამ შემთხვევაში წავიდა 9 მილიონ ხალხის სულიერ განწყობილების წინააღმდეგ?.. და როცა გველაპარაკებიან მოეწყოს რეფერენდუმი და მანამდის კითხვა ღიათ დარჩეს—ეს ნიშნავს საქმის გადადებას გამოურკვეველ დრომდე და ამიერ-კავკასიის კარების ღიათ დატოვებას იმპერიალისტების წინაშე ეს კი ნიშნავს შეგნებულათ თუ შეუგნებლათ იმპერიალისტებისა და ანარქისტულ ბრბოს საქმის გაკეთებას. (ტაში). ახლა რომ ჩვენში არეულობა მოხდეს, დაიწყება ანარქია, დაშლა—დარღვევა, რომლითაც ისარგებლებს გარეშე მტერი და თავისუფლათ გაივლის კიდით კიდიდან განადგურებულ ამიერ-კავკასიაში. (ხანგრძლივი ტაში).

ირ. წერეთლის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს სოც.-რევ. **ნ. ბერიოზოვი**. იგი აღნიშნავს, რომ თვით სოც. დემოკრატებს შორისაც არის უთანხმოება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის გარშემო და თქვენ ვერ მოგვცემთ გარანტიას, რომ დამოუკიდებლობა გვიხსნის დღევანდელ მდგომარეობიდანო. ორატორი ეხება სეიმს, მის შემადგენლობა და ამბობს, რომ იგი არ შეიძლება იყოს ხალხის სულისკვეთების გამომხატველი და მისი დადგენილებაც არ არის ჩვენთვის სავალდებულოვო. დამოუკიდებლობა—ეს ოსმალეთის ორიენტაციაა. ჩვენ უნდა დაუცადოთ იმ დროს, როცა რუსეთი აღსდგებაო.

**ალ. ლომთათიძე**. მე უცდიდი როდის გვიჩვენებდა ბერიოზოვი გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან და ბოლოს მან სთქვა, საჭიროა მთლიანი ფრონტის შექმნა და ბალშევიკებთან შეთანხმებაო. ნუთუ ეს არის კითხვაზე პასუხი? თუ რა გვიპასუხეს ჩვენ ბალშევიკებმა, ამის შესახებ უკვე ითქვა აქ: რატომ არ თქვით თქვენ, რომ ეს არ არის მართალი, რომ ისინი მზათ არიან დაგვეხმარონ. მაგრამ თქვენ ეს ვერ თქვით. თქვენ გაგვიმასპინძლდით ფრაზებით, მაგრამ როცა ქვეყანა იღუპება, ჩვენ ხალხს ფრაზებით ვერ გაუმასპინძლდებით. (ტაში). ბერიოზოვი ასე სვამს საკითხს, ან ყველაფერი, ან არაფერი. ჩვენ კი ვფიქრობთ შეიძლება იმის ნაწილი მაინც შევინარჩუნოთ, რაც გადარჩენილა. ბერიოზოვი ამბობს, თითქოს ჩვენ გვეთქვას, რომ დამოუკიდებლობა გვიხსნისო. ეს არ არის მართალი. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ერთათ ერთი საშუალებაა, რომელმაც შეიძლება გვიხსნას. ბერიოზოვი წინააღმდეგია სეიმის, ვერ არის კარგათ არჩეულიო მაგრამ ნუთუ ცენტრი ოთხფორმულიანი საარჩევნო სისტემით არის არჩეული? და თქვენ იტყვით, რომ არ უნდა დავემორჩილოთ რევოლიუციონურ ცენტრის დადგენილებას? სეიმს, მიუხედავათ მისი შემადგენლობისა, ჯერ არც ერთი დემოკრატიის საწინააღმდეგო დადგენილება არ მიუღია. მაგრამ ბერიოზოვს თურმე სხვა გვარი საბუთი ჰქონია. მისი აზრით შესაძლებელია განადგურებულ ბალშევიკურ რუსეთთან კავშირი, ხოლო შეუძლებელია კავშირის დაჭერა გერ. პროლეტარიატთან (ტაში).

**ს. ჩემოდანოვი** (სოც. რევოლ.) მხარს უჭერს დამოუკიდებლობას და აღნიშნავს, რომ თარხანოვი სეიმში და ბერიოზოვი ცენტრში არ ლაპარაკობენ იმას, რასაც სწერენ „ზნამია ტრუდა“-ში. რატომ ახლა ახმაურდით?—ეკითხება იგი მოწინააღმდეგეებს. ამიერ-კავკასია ხომ დიდი ხანია ფაქტიურათ ჩამოშორებულია რუსეთზე. თვით რუსეთი არ სცნობს ბალშევიკების მთავრობას და ოქვენ გვირჩევთ კავშირი დავიჭიროთ ბალშევიკურ რუსეთთან. თავდაცვისათვის საჭიროა დამოუკიდებლობა. ვინც დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავა—ის აშკარა მტერია ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა (ტაში).

**ი. ქარცივაძე** (სოც.-რევ.) ამბობს, რატომ ჟორდანიამ და წერეთელმა არ ილაპარაკეს სეიმში, როცა სწყდებოდა დამოუკიდებლობის საკითხიო.

**ირ. წერეთელი**. ქარცივაძემ სთქვა, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია დიდი ყურადღებით ეკიდება იმას, თუ როგორია სოც. დემოკრატების ლიდერების დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხთან, რომ სეიმის „სადღესასწაულო“ სხდომაზე სდუმდენ ჟორდანია და წერეთელი. მე სეიმის მიერ ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის დღე არ მიმაჩნდა დღესასწაულათ. დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო დამარცხების შედეგი. ჩვენ ვიბრძოდით. ჯარმა უკან დაიხია და რა გასაკვირველია, თუ მისი წინამძღოლები ყველაზე ბოლოს ვიხევთ უკან (მქუხარე ტაში). აშკარა იყო, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას უნდა გამოეცხადებია დამოუკიდებლობა. და მე ვფიქრობდი, რომ საჭირო იყო კიდევ ბრძოლა, მაგრამ მცხოვრებთა და პარტიულ ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა სხვას ფიქრობდა. ამის წარმო[...] შეუძლია მხოლოდ მთელ ქვეყანას. და თუ პოლიტიკურ პარტიებმა იციან, რომ ომის გამოცხადებით დაღუპვისაკენ მიაქანებენ საუკეთესო ნაწილს, მაგრამ მაინც არ უწევენ ამას ანგარიშს,—ისინი დანაშაულს ჩადიან. როცა გამოირკვა ხალხის სურვილი არც ჟორდანიას, არც მე მიზნათ არ დაგვისახავს ლამაზ სიტყვებით მოგვებრუნებია ხალხი დაღუპვისაკენ (ტაში). ჩვენ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ მცირე ჯგუფი გამოხატავდა ხალხის ინტერესებს, ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ გავჩუმდებოდით. „ზნამია ტრუდა“ მ კი ტალახში ამოგვსვარა ჩვენ. ერთს გვიწოდა დემოკრატიის სინიდისი, მეორეს—დემოკრატიის ბელადი. მე დარწმუნებული ვარ მოწინააღმდეგის გულწრფელობაში, მაგრამ ამ ხალხის გულწრფელობა არ მწამს (ტაში).

შემდეგ ორატორი უპასუხებს ბერიოზოვს და ამბობს: დიახ, არის ინტერნაციონალური თვალსაზრისი, მაგრამ იგი ავალებს ადამიანს სხვა ერთან დამოკიდებულებაშიაც ისეთივე საზომით იხელმძღვანელოს, როგორითაც იგი უდგება თავის ერს (ტაში). ამ თვალსაზრისით მიუდგები მე ბერიოზოვის სიტყვას. მან სთქვა, რომ თუ მიდის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ,—ეს იმიტომ, რომ არ სურს მიიღოს გერმანიის ორიენტაცია. თუ ის დარწმუნებულია, რომ რუსეთი უკვე იქცა გერმანიის კოლონიათ, როგორ უნდა სთქვას მან, რომ ამიერ-კავკ. არ არის ასეთი კოლონია, სანამ იგი რჩება რუსეთის ნაწილათ, თუ ბერიოზოვი ამ შემთხვევაში არ გამოცვლის საზომს? ჩვენც ვიბრძოდით რუსეთისთვის. მე და ჩხეიძე მთელი ძალღონით ვცდილობდით, რომ რუსეთი არ გამხდარიყო გერმანიის კოლონიათ და ახლა აქ ვიბრძვით დარჩენილი ძალღონით, რომ ამიერ-კავკასიას ავაშოროთ რუსეთის ბედი და მომეცით ნება ეჭვი შევიტანო თქვენს ინტერნაციონალისტობაში, როცა თქვენ აქ იცვლით საზომს (ტაში). აქ გვეუბნებიან, თუ მასსა არ მოგყვებათ, დაუთმეთ თქვენი ადგილი სხვებსო. მაგრამ ასეთივე მდგომარეობა ჩვენ განვიცადეთ რუსეთში ს.-რევ. ერთათ. იქ ჩვენ გვინდოდა დამფუძნებელ კრების მოწვევით სათავეში ჩავდგომოდით მასსას, თავის ხელში აგველო საზავო მოლაპარაკება და ვის უნდა გადავეცით ჩვენი ადგილი? ალბათ ბალშევიკებს. ამბობენ, რომ ჩვენ ვერ ვასახელებთ გამოსავალ გზას. მაგრამ სხვა გამოსავალი გზა არ არსებობს; ან უნდა გაიზაროთ ბალშევიკურ რუსეთის ბედი, ან მიიღოთ ჩვენი გადაწყვეტილება. რუსეთი დღეს არ წარმოადგენს საერთაშორისო სახეს. ვალებზე და მოკავშირეებთან კავშირის დაჭერაზე უარის თქმა—ეს ყველაფერი რევოლიუციონური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ამან დააყენა რუსეთი საერთაშორისო დამოკიდებულებათა გარეშე. დიახ, არ იყვეს კარგი, დიპლომატიური გზა, მაგრამ იგი მაინც იძლევა არსებობის შენარჩუნების გარანტიას. რუსეთი იტანს დღევანდელ მდგომარეობას, მაგრამ ამას ვერ შესძლებს ქართველები, სომხები, მუსულმანები. ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე. განა შეიძლება იმის თქმა, რომ იქ, გოლგოთაზე ჯვარზეა გაკრული რევოლიუციონური რუსეთი და წაიყვანეთ იქ თქვენი ხალხიცო!.. ეს არის ინტერნაციონალიზმი? თქვენ გვირჩევთ გავრეკოთ სეიმი, თავიდან მოვიშოროთ მუსავატელები და შევკრათ კავშირი ბალშევიკებიდან სახალხო სოციალისტებამდეო. ჩვენ ვცადეთ ასე გვეხსნა რუსეთი, მაგრამ დრო დავკარგეთ. ჩვენც გვსურდა, რომ მუსულმანების წარმომადგენელი იყოს სხვა პარტია. ამჩნევთ თუ არა თქვენ აქ დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას? იქაც ხომ ამბობდენ, დამფუძნებელ კრებაში სხვა-დან მილიუკოვებიო? (ტაში) რას გვირჩევთ თქვენ? თქვენ გსურთ სამოქალაქო ომი? თქვენ გსურთ წაართვათ მუსულმანთა მასსას წარმომადგენლები და მანამდის არ მისცეთ მათ საყოველთაო საარჩევნო უფლება, სანამ ისინი სოციალისტებს არ გამოგიგზავნიან პარლამენტში? აქვს სეიმს ნაკლი, ეს მართალია. მაგრამ ძირითადი პირობა დაცულია: საყოველთაო საარჩევნო სისტემით გამოირკვა თუ ვის როგორი სიმპატიით ეკიდება ხალხი. მაგრამ ამის გამო შეუძლებელია ქვეყანა უთავოთ დავსტოვოთ. ჩვენ იქ, რუსეთში შევქმენით რუსეთის რესპუბლიკის საბჭო, რომ ქვეყანას ჰქონოდა ხელმძღვანელი ორგანო. გესმით თუ არა თქვენ, საით მიგვაქანებთ? თქვენ ამბობთ, რომ ყველა ფრაქციები არ ემორჩილება სეიმის დადგენილებას და არც ჩვენ ვართ ვალდებული დავემორჩილოთ ამ დადგენილებებსო. ამით თქვენ ვერ გაამართლებთ თქვენს შეცდომებს. ჩვენ ვიბრძოლებთ იდეურათ იმათ წინააღმდეგ, ვისზედაც ასეთი ბრძოლა მოახდენს გავლენას, მაგრამ ვინც მოქმედებს რევოლიუციონერის ნიღაბ ქვეშ, ვინც ფიქრობს, რომ ადგილობრივ ერთა დაღუპვით უნდა მოხდეს ჩრდილოეთის აღდგენა—ასეთ ადამიანებს ჩვენ სასტიკათ შევებრძოლებით. (ტაში) ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ბევრი მტერი ყავს რევოლიუციას, მაგრამ არ არის იმათზე უფრო საშიში მტერი, ვინც მოქმედობს მეგობრის ნიღაბ აფარებული (ხანგრძლივი ტაში).

ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ვენ—სონ.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

15 აპრილი.

შავი ზღვის პირის მიმართულებით დროებითი ზავი არ დარღვეულა.

ყარსის რაიონში ჩვენი ჯარები იხევენ მდ. არპაჩაისკენ.

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა

მინისტრ-თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელმა ოსმალეთის ფრონტის მთავარ სარდალ ვეხიბ ფაშასაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„მის აღმატებულებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მინისტრ თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ჩხენკელს.

პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი: 1 ოტომანის საიმპერატორო მთავრობამ სცნო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და აცნობა ეს თავის მოკავშირეებს, 2) ოტომანის დელეგაცია რამდენიმე დღის შემდეგ გამოვა კონსტანტინოპოლიდან. მისი აღმატებულება იუსტიციის მინისტრი ხალილ ბეი და მე ვღებულობ მონაწილეობას საიმპერატორო დელეგაციაში, 3) თქვენი სურვილის თანახმათ საიმპერატორო მთავრობა ღებულობს ბათუმს, როგორც მოლაპარაკების ადგილს, 4) ჩრდილო კავკასიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რაც მან უკვე შეატყობინა საიმპერატორო მთავრობას და სხვა სახელმწიფოებს. ჩრდილო კავკასიის დელეგატები, რომლებიც კონსტანტინოპოლში არიან ოტომანის დელეგაციასთან ერთათ წამოვლენ ბათუმში და იქ გადასდგამენ ნაბიჯს მათი ქვეყნის ამიერ-კავკასიასთან გასაერთიანებლად გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა. ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ ორივე მხარესთვის საბედნიეროთ და სასიხარულოთ გათავდება საქმე. ვეხიბ მაჰმედი, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

14 აპრილი.

**პეტროგრადი**. ხმები გავრცელდა თითქო თეთრგვარდიელებს დაეკავებიოთ ბელოოსტროვი და ვიბორგი; ამის გამო იტყობინებიან: ფინლიანდიის რკინის გზის ვიბორგის ლიანდაგი წითელ გვარდიელების ხელში. მატარებლები ფინლიანდიიდან დაუბრკოლებლივ დადიან. პეტროგრადიდან ბელოოსტროვს იქით არ უშვებენ. მიღებულია ზომები რკინის გზის დასაცავათ, ამისთვის მზად არის ჯავშნიანი მატარებელი ტყვიის მფრქვევლებით და ზარბაზნებით შეიარაღებული. სამხედრო ქონების ევაკუაცია ვიბორგის რაიონიდან სრულდება.

**უკრაინის ფრონტი**. ვერხნი ოსკოლში ცვლილება არ მომხდარა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერმა დაიკავა პუტივში. მეორე არმიის ფრონტზე საარტილერიო სუსტი სროლაა. მტრის წინსვლა პავლოგრადისკენ შეჩერებულ იქნა, სამხრეთის არმიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. კორენევო ხელიდან ხელში გადადის. ქუჩებში მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიეთ. გუშინ კიდევ არ იყო გამორკვეული ჩვენი მდგომარეობა. სად. რჟავა მტრის ძლიერმა რაზმმა დაკავა.

**კურსკი**. კორენევოში ჩვენი ჯარები შევიდენ. საღამოს 8 საათიდან ქუჩებში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ჩვენი შტაბის უკანასკნელი ცნობებით ობოიანში არ არის ნემეცთა ჯარების საგრძნობი ძალა. ბელგოროდის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა. სად. რჟავა (ყოფილი კლეინმიხელოკო) ჩვენმა ჯარებმა დასტოვა.

15 აპრილი.

**კონსტანტინოპოლი**. პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და ნაზას, იაბუზის და სეიხის ახლო მტრის პოზიციები დაიჭირეს.

**ბერლინი**. დასავლეთის ფრონტი. ვიტჩადეს ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს. ფრანგების და ინგლისელების დივიზია შეეცადა უკანვე აეღოთ კემელი, მაგრამ ამაოთ. ვიკელბუშის და ლაფერის შუა მტერმა შემოგვიტია, მაგრამ დიდი ზარალი მივაყენეთ და უკუვაქციეთ.

**პარიზი**. სომმის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე სიწყნარეა.

დასავლეთის ფრონტზე ბრძოლის დროს მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. მოკავშირეებმა ხელთ ჩაიგდეს 900 ტყვეზე მეტი.

**პარიზი**. 27 აპრილს მთელი ღამის განმავლობაში მტერმა იერიში მოიტანა ერთ ჩვენ პოზიციაზე და დაიჭირა. ნერილის სამხრეთ დასავლეთით მტერმა შემოგვიტია, მაგრამ ტყვის მფრქვევლებით უკუვაქციეთ, მხოლოდ მათ დაიჭირეს მცირე მნიშვნელოვანი სიმაგრეები.

16 აპრილი.

**ლონდონი**. ჩვენმა ქვეითა ჯარმა უკუაქცია მტრის ჯარის ნაწილები, რომლებიც კემერლაზას მთას უახლოვდებოდენ. ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის მეორე რაზმზე და ხელით სასროლ ყუმბარების წყალობით გავფანტეთ. ალაკოს რაიონში ხელთ ჩაგვივარდა თოფები და ტყვიის მფრქვევლები.

**მოსკოვი**. ისპანიის მთავრობა იტყობინება, რომ ბერლინში რუსეთის საელჩოს შენობის გასაღებს გადასცემს იმ პირს, რომელსაც უჩვენებს გერმანია. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი სთხოვს გერმანიის მთავრობას, შეატყობინოს ისპანიის მთავრობა, რომ ასეთი პირია რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი იოფე.

**ლონდონი**. ინგლისის და საფრანგეთის შეერთებული საზღვაო ძალები ვიცე ადმირალ როჯეს მეთაურობით ოსტენდესა და ზეებრიუგეში ანგრევენ გერმანიის სიმაგრეებს.

**ირკუტსკი**. მოხდა საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები. აირჩიეს 170 ბალშევიკი, 27 მემარცხენე ს.-რევოლიუციონერი, 19 მენშევიკი და 14 მემარჯვენე ს.-რევოლიუციონერი.

**ამსტერდამი**. გაზეთ „ხანდელსბლატის“ იტყვით ირლანდიაში სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვი სამი მილიონი იქნება. სამხედრო ბეგრის შემოღების გამო უკვე იღვრება სისხლი. სინფეინენებმა სად. გორტატლისთან იერიში მიიტანეს პოლიციელების პოსტზე. სროლის დროს ერთი კაცი დაიჭრა და ერთი მოკვდა.

**პეტროგრადი**. ირლანდიაში მდგომარეობა მეტათ გამწვავდა. ინგლისური გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ მოძრაობა რევოლიუციონურ ხასიათს ღებულობს და მცხოვრებთა ფართე მასაში ფეხს იკიდებს. ინგლისის ჯარებმა დაიჭირეს ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

• **პირველი მაისს** მიტინგები გაიმართება გოლოვინის პროსპექტზე. ფაბრიკა-ქარხნების მუშები, პროფესიონალური კავშირები, რევოლიუციონური ორგანიზაციები მწყობრათ მოვლენ თავიანთი დროშებით სახაზინო თეატრთან დილის 12 საათზე. ილაპარაკებენ რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენლები. უკეთუ წვიმიანი დღე იქნება, მიტინგები გაიმართება შენობებში: სახაზინო თეატრში, ნაძალადევში, სახალხო სახლში და ავლაბრის კლუბში, მაიდანზე (მუსულმანთა აუდიტორიაში).

◆ **ოზურგეთიდან** მოსული ცნობით ოზურგეთში ბევრი სახლი გაუძარცვავთ. ნივთები ურმებით გაუზიდავთ.

◆ **ნატანებიდან ტელეგრაფის** უფროსი სურგულაძე მთავრობას დეპეშით ატყობინებს: ბათუმ-თფილისის ტელეგრაფი, დღეს 17 ს. და 45 წ. აპრილის 15 აღდგენილია.

◆ **მთავრობის სხდომაზე 16 აპრილს** განხილულ იყო საზავო დელეგაციის შემადგენლობის საკითხი. ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის და გზათა მიმოსვლის მინისტრებმა მოხსენებები წაიკითხეს ამიერ-კავკასიის ეკონომიურ პოლიტიკას პერსპექტივების შესახებ.

◆ **ლტოლვილნი**. ყარსის საოლქო კომისარის ძამოევისაგან დეპეშა მოვიდა, რომ ყარსის ოლქიდან რამდენიმე ათი ათასი ლტოლვილი მოდის, რომელთა ერთი ნაწილი შეიარაღებულიაო. ლტოლვილთა შორის ბევრია ოსმალელი სომეხი, რომლებმაც წინათ ამ ოლქს შეაფარეს თავი. კომისარი აღნიშნავს იმ უბედურებას, რომელიც მოსალოდნელია ლტოლვილთა მოძრაობის გამო და ინსტრუქციებს ითხოვს. მთავრობამ განიხილა ეს დეპეშა და დაადგინა შეუთანხმდეს ოსმალეთის ადმინისტრაციას ყარსის ოლქის დაცლის ვადის გასაგრძელებლათ.

◆ **ქართული უნივერსიტეტი**. პროფესორთა საბჭოს დადგენილებით ქართულ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა შესწყდება ხვალ, ოთხშაბათს აპრილის 18. აღდგომის შემდეგ ლექციების კითხვა განახლდება მაისის 9.

◆ **მილიციელის მოკვლა**. აპრილის 16-ს ღამის 3 საათზე მიხეილის ქუჩაზე სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ შეიარაღებულ ჯარისკაცთა ბრბომ თოფის ტყვიით მოჰკლეს მე-10 კომისარიატის უმცროსი მილიციელი ივანე ხარებაშვილი. იმავე ღამეს ვორონცოვის ქუჩის ბოლოში ჩოფურიშვილის სასადილოში უცნობმა პირებმა რევოლვერით მოკლეს ანდრეი ჩხეიძე.

◆ **სეიმის წევრნი** ა. შეიხულ ისლამოვი და ა—ხ კანტემიროვი ამიერ-კავკასიის მთავრობამ ახალციხეში გაგზავნა, რათა მდგომარეობის და მიხედვით მიიღონ მათ ყველა ზომები მცხოვრებთა შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ, ამ დელეგაციის გაგზავნის შესახებ ეცნობა ბორჯომში მიწათმოქმედების მინისტრს ნოე ხომერიკს, გენ. არჯევანიძეს და სამტრედიაშია გენ. ვას. გაბაშვილს.

◆ **თანამდებობაზე დანიშვნა**. კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის წევრი შახტახტინსკი დაინიშნა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგათ.

◆ **უნავთობა**. რადგან ბაქოდან ნავთი აღარ მოდის, სასურსათო საქმეთა მინისტრმა აუწყა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს, რომ ყველა წარმოებაში, გარდა ზოგიერთებისა, ნავთის მაგიერ შეშა და ნახშირი იხმარონ.

◆ **ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო**. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს დანიშნულებაა მიაწოდოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შიგნით და მის გარეთ პოლიტიკური, ფინანსიური, ეკონომიური და სხვა საზოგადო ხასიათის ცნობები. სააგენტოს ერთი მთავარი მიზანია გააცნოს საზოგადოებას სეიმის და მთავრობის მოქმედება. სააგენტოს ყველა ცნობები გადაეცემა გაზეთებს და კერძო პირებს (კლუბები, ბანკები, დაწესებულებები და სხვა). ხელის მოწერის მისაღებათ სააგენტო დანიშნავს პროვინციებში თავის აგენტებს და გახსნის განყოფილებებს. ასეთივე განყოფილებები გაიხსნება რუსეთში და საზღვარგარეთაც.

◆ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს** პრეზიდიუმი სთხოვს კავშირთა ყველა წევრებს, უკეთუ კარგი ამინდი იქნება პირველ მაისს დილის 10 საათზე შეიკრიბონ საბჭოს ბინასთან (პეტრეწიდის ქუჩა № 18). თითოეული კავშირი გამოცხადდება თავისი დროშით, საიდანაც წავლენ სახაზინო თეატრისაკენ.

◆ **სარდაფის მომუშავენი** თანახმად ახალის დეკრეტისა შესწყვეტენ მუშაობას წითელ პარასკევს შუადღის 1 საათზე, ვიდრე სამშაბათ დილამდე. დღიურებს მთელი კვირისა უნდა მიეცეთ.

◆ **ხელზე მოსამსახურეთა კავშირი** აცნობებს თავის წევრებს, რომ ვინაიდან 1 მაისი (18 აპრილი) მუშათა დღესასწაულის დღეა, ხელზე მოსამსახურენი უნდა განთავისუფლებულ იქნან სამუშაოდან.

◆ **მეეზოვეთა** პროფესიონალური კავშირის სადგომი ლტოლვილებმა დაიკავეს, ამიტომ კავშირმა დროებით შესწყვიტა მოქმედება.

◆ **რუსთა ნაციონალურ კულტურულ**-განმანათლებელი განყოფილება აღდგომის კვირაში გამართავს მთელ რიგს ლექციების და საუბრებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. რა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო—წაიკითხავს სტრელკოვსკი. პატარა სახელმწიფოების საერთაშორისო მდგომარეობა—ჩემოდანოვი და სტრელკოვსკი; რუსეთი და ამიერ-კავკასია—ჩემოდანოვი.

◆ **„ჯეჯილი“**. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ ამა წლის იანვრის ნომერი. შინაარსიან ლექსებს და მოთხრობებს ჩართული აქვს ლამაზი სურათები, ნომერი ჩვეულებრივათ სუფთა გამოცემაა.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება**. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში მოსამსახურე პირებმა გადასდეს საქართველოს ეროვნული საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად ჯამაგირის 2 პრაც. ამ ჟამად ქ. შ. წ. კ. გ. საზ. იბეჭდება შემდეგი წიგნები: 1) ბუნების კარი, 2) სიტყვიერების ისტორია ხახანაშვილისა XIX საუკ. 3) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა ს. იაშვილისა, 4) შ. მღვიმელის: „ცვარი“, „ჩემი ყვავილები“, „ოქროს თავთავი“, 5) „მეხის ამბავი“ გ შარაშიძისა, დამზადებულია დასაბეჭდათ: 6) დედა-ენა 1 ნაწ., 7) დედა-ენა მე-2 ნაწ., 8) ქართველი მწერლები ი. გომელაურისა, 9) „ფიზიკა“ (კონცენტრიული კრებული) რ. ხუციშვილისა, 10) ხახანაშვილის სიტყვიერების ისტორია მე-18 საუკუნ. 11) ხრამელაშვილის არითმეტიკული კრებული 1—2 ნაწ. 12) საბავშვო მოთხრობები გ. ქუჩიშვილისა, 13) დ. კლდიაშვილის მოთხრ. სრული კრებული, 14) კრილოვის იგავ-არაკები და სხვა მრავალი წიგნები.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა სპეკულიაციისათვის ჯარისკაცი ლ. ლაჩინიანი, სარაყამიშის სამხედრო საალმშენებლო კომისიის წევრი ლეონარდ ქშესიუკ და ოდესის მოქალაქე ერვანდ ნიშანიანი; ქუჩაში სროლისთვის დავით აღდგომელაში, მე-2 რუსულ პოლკის ჯარისკაცებს შეკლაუ, გრიციუკ და ხეჩუაშვილი; სახაზინო ქონების გაყიდვისათვის საკანვოიო ასეულის ჯარისკაცი გიორგი გვერდწითელი. თბილისის სადგურზე ჩემოდანის მოპარვისთვის მე 8 სომხურ პოლკის ჯარისკაცი ხაჩატურ ხაჩუმიანი, ქუჩაში ჩხუბისთვის პეტრე პანამაროვი და კაჩიგაროვი; ქურდობისთვის 1 რუსულ პოლკის ჯარისკაცი ჩერნიხი, ვინტოვკის დამალვისთვის ბათუმში ყოფნის დროს მამია მხეიძე.

◆ **შრომის მინისტრი** შეეკითხა ქალაქის გამგეობას ქალაქ[...] ბებში არსებობს თუ [...] წლების რიცხვის მიხედვით დასაჩუქრების ნორმა და თუ არსებობს, რატომ არ იყენებენ მას დღემდე.

— საინტენდანტოს მმართველობამ ითხოვა, რომ დათხოვნილ მოსამსახურეებს 2 თვის ჯამაგირი მიეცესთ. შრომის მინისტრმა განმარტა, რომ შტატის შემცირების გამო სალიკვიდაციო ფულის გაცემა ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებზე და ამიტომ საინტენდანტოს დათხოვნილ მოსამსახურეებსაც სალიკვიდაციო ფული 2 თვისა უნდა მიეცეს.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება პროფესიონალურ კავშირთა არა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება სამხედრო სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

— დღეს, 17 აპრილს, საღამოს 6 ს., წ. კ. გ. ს. კანცელარიაში დანიშნულია მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

— ოთხშაბათს, 17 აპრილს საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება თფ. მუშ. და ჯარ. კაც. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

## პროვინციის ქრონიკა

**სამტრედია**. სამტრედიაში დაბანაკებულმა შტაბმა ნოსირის საზოგადოებისაგან მიიღო შემოწირულების სახით სხვა და სხვა სურსათი, ღირებული 8,955 მანეთად, რისთვისაც ქართული კორპუსის მომწყობი შტაბი მადლობას უძღვნის ხსენებულ საზოგადოების მცხოვრებთ. შემოწირული სურსათი გაიგზავნა პოზიციაზე გენერალ მაზნიევის განკარგულებაში.

**თელავი**. 8 აპრილს ათ საათზე ქ[...]ლაქში ხმა გავარდა თათრები მოდიან[...] ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, [...]საც იარაღი ზედ არ ქონდ[...] სახლში გარბოდა, რომ შეიარაღებ[...]ლიყო, არ გასულა ათი წუთი რ[...] ალაქი სულ დაცარიელდა, მერ[...] იწყო დენა შეიარაღებულმა ხალხმა. [...]მისარიატში მილიციონერები ფეხზე დ[...]დგენ, ტყვიის მფრქვეველები მოამზად[...] რომ ისევ ამბავი მოვიდა არავინ [...] მიდისო, შემდეგ გამოირკვა, რ[...] საქმე ასე ყოფილიყო: მილიციონერ [...]ვილაშვილისთვის, რომელიც სამსახუ[...] ცუდათ ასრულებდა, გადაეწყვიტათ იარაღი აეყარათ. ეს დაევალა უფროს მილიციონერს ნიკო ჯუგაშვილს, ჯუგაშვილი მისულა წივილაშვილთან იარაღის ასაყრელათ, წივილაშვილმა თოფი ესროლა ჯუგაშვილს და იქვე მოჰკლა. ის გაიქცა. მას დაედევნენ სხვა მილიციონერები და გვარდიელები, ის დასჭრეს ხელში და ფეხში, დაჭერილი მოიყვანეს კომისარიატში, აი ამ სროლის ხმაზე ხალხი დაფეთხა. დღეს ყველას აშინებს თათრების შემოსვლა, თუ უწინ ხალხი გაიძახოდა არსად არ წავალთო, დღეს ეს შეიცვალა და ამბობენ ყველამ წავიდეთო.

## სოხუმის ოლქის ამბები

I

ბალშევიკების „გამარჯვებამ“ სოხუმის ოლქის სამ რაიონში და ამ რაიონების შეიარაღებული გლეხების მიერ ქალაქი სოხუმის ხელში ჩაგდებამ ამიერ-კავკასიის დემოკრატიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრნი ამ „გამარჯვებას“ ბალშევიზმის გამარჯვებათ სთვლიან და, რომ ეს მართლაც ასე იყოს, მაშინ საბუთიანი იქნეოდა ის შიშიც, რომელსაც ზოგიერთები შეუპყრია. სხვათა შორის ასეთ შეხედულებას ხელს უწყობს გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები სოხუმის ოლქის შესახებ, რომლებიც სინამდვილიდან შორს არის.

ვინც ჩვენ გაზეთს კითხულობს, იმას უსათუოთ ეხსომება ამ ოცი დღის წინეთ მასში მოთავსებული წერილები სოხუმის ოლქის საგლეხო ყრილობის შესახებ. გლეხების უმრავლესობის სურვილი და შეხედულები იარაღის ზეგავლენით კი არა, არამედ როგორც შედეგი და დასკვნა თავისუფალი მსჯელობისა და აზრთა გაცვლა გამოცვლა იქ სავსებით გამოირკვა. ამ ყრილობის გადაწყვეტილება, მის მიერ არჩეული საგლეხო საბჭოს შემადგენლობა აშკარათ ამტკიცებს, რომ გლეხი ჩვენსკენაა და არა ბალშევიკებისაკენ.

მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლეხების მასსა საზოგადოთ შეუგნებელი და პოლიტიკურათ მოუმწიფებელია, მასში ყოველთვის შეუძლია ფეხი მოიკიდოს პროვოკაციამ თუ კი ამ იარაღს მიმართავს პოლიტიკური პარტია. სწორედ ასე მოიქცენ ბალშევიკები. მათ, როგორც საზოგადოთ რუსეთში შვრებიან, არ დაიხიეს უკან ბნელი ძალების ასამუშავებლათ, მასში უმდაბლესი ინსტიქტის გასაღვიძებლათ და ამ რიგათ „მიაღწიეს“ თავიანთ მიზანს.

საქმე შემდეგშია:

საგლეხო ყრილობამ მიწის საკითხი

ადგილობრივი პირობების შეფარდებით გადასწყვიტა რადიკალურათ, როგორც ნამდვილ დემოკრატიას შეჰფეროდა. მოგეხსენებათ, რომ აფხაზებს, როგორც სხვა პატარა ერებს ეროვნული კითხვის გადაწყვეტა, პოლიტიკური თვითმართველობის შექმნა დიდათ აინტერესებს. ეს მათი ბუნებრივი უფლებაა და ჩვენ მხოლოდ დახმარება და მათთვის ზურგის გამაგრება გვმართებს ამ საკითხში. მაგრამ რადგანაც ეროვნული საკითხი დიდათ დაკავშირებულია ტერიტორიასთან, რასაკვირველია აფხაზებიც დიდათ ზრუნავენ თავიანთ ისტორიულ აფხაზეთზე. ცოტაა ისეთი წამებული ერები რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ, როგორც აფხაზები. ისინი მოსპობის პირამდე მიიყვანა ყოველი მხრით დამარცხებული ბიუროკრატიის პოლიტიკამ. აფხაზები ათი ათასობით, ზოგი იძულებული გახდა გადახვეწილიყვენ, ზოგი ძალით განდევნა რუსეთის საზღვრებიდან სათათრეთისკენ. თვითმპყრობელობა არავის ინდობდა, დედას შვილებს აგლეჯდა გულიდან, ძმას ძმისგან აშორებდა. მამას შვილისაგან და მიერეკებოდა მათ უკულტურობის, ველურობის სამეფოში. აფხაზებიც რუსეთის ერების საერთო აღდგომის შემდეგ იმედობენ, რომ მათი ძმები სათათრეთში გადაყრილნი ჯერ კიდევ იქაც უსახლკარონი და თათრებისათვინაც ნამდვილი გერები, ადრე იქნება თუ გვიან თავიანთ სამშობლოში დაბრუნდებიან. და მიუხედავათ იმისა, რომ აფხაზეთში თავისუფალი მიწები აუარებელია და არა მარტო რამდენიმე ათას მოსახლეს შეუძლია თავი შეაფაროს კიდევ აფხაზეთს, აფხაზები მიწაზე საკმაოთ კონსერვატიული შეხედულების არიან. ამას ხელი შეუწყო მთიულების კავშირის ორიენტაციამ და იმათმა წამოსროლილმა ლოზუნგმა „აფხაზეთი აფხაზებსაო“. აფხაზეთში კი სცხოვრობენ გარდა აფხაზებისა ორმოცდა ათი თასამდე მოსული სხვადასხვა ერის გლეხკაცობა და ათი-თხუთმეტი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები. ყველა ასეთი მიწის მუშები არიან; დამოკიდებულება მათთან ძველი მთავრობის პოლიტიკის ზეგავლენით დიდათ გამწვავებული იყო. ყველაზე მეტათ თავათ აფხაზებს ეჭვის თვალით ქართველი გლეხები უყურებდა, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ ჩასახლებულ მოიჯარადრეთა შორის. და აი როცა წამოდგა კითხვა მიწის საკითხის ყველასთვის თანასწორათ გადაჭრისა აფხაზების შეუგნებელმა მასამ ამას დიდი ეჭვის თვალით შეხედა. მაგრამ ერთი წლის მუშაობას ყველა სოციალისტური პარტიებისა აფხაზების, ქართველების, სომხების, ბერძნების სოხუმის ოლქში უნაყოფოთ არ ჩაუვლია.

ჩვენ შევძელით ყველა ეროვნებათა გლეხების და მათთან ერთად აფხაზების დაკავშირება. აფხაზებმა „დაუთმეს“ მიწის საკითხში და მიწა აღიარებული იქნა ყველა ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი სოხუმის ოლქში მცხოვრები გლეხკაცობის საკუთრებათ. რაც შეეხება სათათრეთის ქვეშევრდომ სომხებს და ბერძნებს, მანამ კითხვის უმაღლეს კანონმდებელი ორგანო სეიმის გადაწყვეტამდე, საგლეხო ყრილობამ მიანიჭა დროებით ყველა ის უფლებები, რაც სხვა გლეხებს ქონდა მინიჭებული, ამ რიგათ მორიგებული გლეხები სახლში დაბრუნდენ და ახალი საბჭოც მუშაობას შეუდგა, მაგრამ რამოდენიმე დღეც არ გასულა, რომ გლეხებში წინააღმდეგ ყრილობის გადაწყვეტილებისა და საბჭოსა მუშაობა დაიწყეს რეაქციონერებმა ბალშევიკების მეთაურობით. აამუშავეს შოვინისტური ლოზუნგები და თვითეული ეროვნების გლეხებს სხვადასხვა დაპირება აღუთქვეს. აფხაზებს აუხსნეს, აფხაზეთი იკარგება თქვენთვის, რადგანაც მიწა ყველა მოიჯარადრეს ეძლევა განურჩევლათ ეროვნებისაო. სად უნდა დასახლდენ სათათრეთიდან მომავალი მოჰაჯირები (იქ გადენილი აფხაზები), როცა მანამდე მეგრელები და სომხები მიწებს სულ დაინაწილებენო. მენშევიკები და ქართველები თქვენ გყიდიანო და სხ. ბევრი იმუშავა ამ მხრით ცნობილმა რეაქციონერმა და ალფიოროვ-გოლუბცევის მოსწავლემ მღვდელმა აგრბამ, რომელიც დღეს ბალშევიკობს, იმათ „კომუნისტური პარტიის შტაბის“ წევრი და „მოღვაწეა“.

მეგრელებს წინააღმდეგი დაპირდენ. სანამ აფხაზები ძალას მოკლებული არ იქნებიან, მანამდის მიწის ხალხის სასარგებლოთ გადაჭრა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. საჭიროა გეგემონიის ხელში ჩაგდება, ბალშევიკური მთავრობის შექმნა, რუსეთის დახმარება და მაშინ გამარჯვებული იქნებითო... სომხებსაც ასეთივე არგუმენტაციის შემდეგ შეჰპირდენ მიუხედავათ იმისა, თუ რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომიც არ უნდა იყვენ, ყველამ მიწა ეხლავე უნდა მიიღონ და გამაგრდენ, თორემ მერე ვერაფერს გააწყობთო.

აი ამგვარი ლოზუნგებით გაიყოლიეს გლეხკაცობა ამ სამი ეროვნებისა სამი „უჩასტკიდან“, გაგრიდან დაწყებული კოდორამდე. ქალ. სოხუმს ბევრი მიწები აქვს მოქალაქე მოიჯარადრეების ხელში და ეს უკანასკნელნიც თავის მხარეზე გადაიყვანეს, რადგანაც ქალაქის მიწებიც ქალაქის საზღვრებში იმათ სრულ საკუთრებათ შეჰპირდენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ლოზუნგებს ქალაქიც ზედ დაურთეს და გლეხებს საკუთრებათ შეჰპირდენ. იქ, რადგანაც მუშათა დეპუტატების საბჭო კონტრ რევოლიუციონურია, ამიტომ გლეხები უნდა განაგებდეთ თქვენი კონტროლით და მეთაურობითო. აი ამ რიგათ შესდგა ის ძალა, რომელმაც „დაგვამარცხა“ ჩვენ.

ჩვენი ვალდებულება იყო, რომ ქალაქში არ შემოგვეშვა ეს შეიარაღებული მიტყუილებული ხალხი, მაგრამ ძალა ამისი არ შეგვწევდა. 70—80 კაცით 1500 წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობდით და სწორედ ამიტომ, როდესაც ღამე 26 მარტს ქალაქი ირგვლივ ამ შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს და სროლა ასტეხეს, ყოველგვარი ღონისძიება მივიღეთ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ჩვენ გვქონდა სრული ზნეობრივი უფლება დამცემლები ქალაქში არ შემოგვეშვა ძალით, რადგანაც მათ არც ქალაქის თვითმართველობა, არც მუშათა დეპუტატების საბჭო, არც მცხოვრებლები არ თანაუგრძნობენ სოხუმში, მაგრამ როცა ძალა არ გვქონდა, რაღა დაგვრჩენოდა მეტი. მე პირადათ დიდ გამარჯვებათ ვთვლი იმ გარემოებას, რომ შევძელით მთელი ღამის მუშაობით სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების ამოჟლეტის თავიდან აშორება. იმათი სურვილი იყო „ომით“ შემოსულიყვენენ ქალაქში, რადგანაც კარგათ იცოდენ, რომ ჩვენ შეიარაღებული ძალა არ გვყავდა და შეუიარაღებელი მოქალაქეების, ვაჭრის და სხვ. დარბევა კი უფრო ადვილი და შეიძლება ხელსაყრელიც იქნებოდა „ომის“ შემდეგ. ამრიგათ შემოვიდენ ქალაქში, გამოაცხადეს ქალაქის მილიცია გაუქმებულათ, ქალაქს აუკრძალეს გადასახადების აკრეფა პირველ დღეებში (ეხლა ნება დართულია, რადგანაც ორი კომისარი დაუნიშნეს ქალაქის თვითმართველობას) თავისუფლება სიტყვის, კრების და სხვა ამგვარი „ბურჟუაზიული“ „предразсудк“-ები გააუქმეს. პირველათ დაატუსაღეს ორი უპატიოსნესი საზოგადო მოღვაწეები ამხ. შარვაშიძე და ზუხბაია, შემდეგ მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. სევ. რამიშვილი და შემდეგ კიდევ თავმჯდომარეც საბჭოსი.

მოსთხოვეს ვაჭრებს კონტრიბუცია 2 მილიონი ანდა ტუაპსეში გაგაგზავნითო, დაემუქრენ.

პირველი კონფლიქტი ქალაქის თვითმართველობასთან ქალ. კომისარიატის და მილიციის გაუქმების შესახებ მოუხდათ, მეორე ხმოსნებათ (შარვაშიძე და რამიშვილი ხმოსნებთან) და მესამე ქალაქის თავის დატუსაღების გამო. მომიგზავნეს მოციქული კონტროლიორი უნდა დაგინიშნოთ ქალაქ. გამგეობასა, მაგრამ მე გამოუცხადე საბჭოს გარეშე არავითარი კონტროლი არ მწამს და თქვენ კონტროლიორს კარებს უჩვენებ მეთქი. მაშინ დროებით მოშორდენ თვითმართველობას და ბანკიდან მოსამსახურეების ჯამაგირისათვინ საჭირო ფულებზე უარი გვითხრეს მოცემაზე და სხ. ასეთი კინკლაობა დაიწყეს. ჩემი განთავისუფლების შემდეგ გავიგე წამოსვლის წინ, რომ კომისარები დაუნიშნავთ.

როგორია მათი მდგომარეობა ოლქში ეხლა? ამაზე შემდეგ.

ბენია ჩხიკვიშვილი.

## რუსეთის ამბები.

**ხარკოვში.** 18 (5) აპრილს რევოლიუციონურ ტრიბუნალში გაირჩა სოციალისტურ პარტიების ხუთი კომიტეტის საქმე, რომელთაც ბალშევიკების წინააღმდეგ ბრალდებოდა მოწოდების გამოშვება. ბრალდებულები 80 კაცია— მენშევიკები, „ბუნდი“, სოციალისტ რევოლიუციონერები და უკრაინული სოციალისტები. კომიტეტის წევრების გარდა საბრალმდებლო სკამზე დაჯდომის სურვილი განაცხადა 1,000 კაცმა, რადგან ისინიც იზიარებენ კომიტეტის წევრების აზრს და მათ პარტიებს ეკუთვნიან.

ტრიბუნალმა გადასწყვიტა ჯერ კომიტეტის წევრების საქმე გაერჩია საქმის გარჩევას მრავალი მუშა დაესწრო. სასამართლოს მუშაობის დაწყებამდე გაიმართა მიტინგი. ბრალდებულებს ოვაციებით „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდენ. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან საქმის გარჩევას მრავალი მუშა დაესწრო, ტრიბუნალმა გადასწყვიტა საქმე გადასდვას და დიდ შენობაში გადაიტანოს. ხალხში გაისმის ხმები: „ძირს! იკმარეთ!“ თავმჯდომარემ განაცხადა: „თუ კი თქვენ არ ენდობით სასამართლოს“... მისი სიტყვა შესწყვიტა ხალხმა ძახილით: „არ ვენდობით! ძირს! გაეთრიეთ!“

სასამართლო დაიშალა მიტინგი გაგრძელდა. გამოსთქვეს სურვილი გავიდენ ქუჩაში, მაგრამ მიტინგის მეთაურებმა შენობაში დარჩენა არჩიეს. რამოდენიმე ორატორმა ილაპარაკა თუ რა უბედურებას უქადის მუშა ხალხს ბალშევიზმი. სასამართლოს გადადება, ამბობდა ორატორები, აიხსნება მით, რომ მათ შეეშინდათ. მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ მუშები, რომელნიც მოვედით დავსწრებოდით ჩვენი ამხანაგების გასამართლებას, პროტესტს ვაცხადებთ ამხანაგების სამართალში მიცემის გამო. ვაცხადებთ პროტესტს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო და სრულ ნდობას ვუცხადებთ იმ ამხანაგებს, რომელნიც სამართალშია მიცემული.“ რეზოლიუციას ტაშით შეხვდენ. მიტინგის ბოლოს მოვიდენ ბალშევიკები და მუშები გაფანტეს.

## მოვალეობის მსხვერპლნი

ჩოლოქიდან ცნობა მოვიდა, იქ შეტაკების დროს მოუკლავთ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა. ამხანაგი ლავრენტი დოლიძე.

იგი იყო ერთი წევრი ხაშურის ორგანიზაციისა, იყო ერთ-ერთი გულწრფელი გვარდიელი, რომელიც პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას.

იგი მოვალეობის მსხვერპლი შექნა ჩოლოკზე. მან ბრძოლის ველზე გმირულათ დალია სული.

ბევრი ამხანაგები შეეწირა უსწორო ბრძოლას, ბევრი ახალგაზრდები მოშორდა უდროვოთ თავის მშობელ მხარეს, ბევრი დედები აატირა, ბევრი ოჯახი გააუბედურა ამ ბრძოლამ.

შენ დაიღუპე ამხანაგო ლავრენტი გმირულათ, მაგრამ შენი სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში.

მე-კი, ღრმა მწუხარებით მოცული, თვალ-ცრემლიანი გემშვიდობები. ცხოვრებისგან გაუცნობელო, ტანჯულო... აწ განისვენე, ობლათ ცივ სამარეში. შვიდობით ლავრენტი...

შენი სიკვდილით გულ მოკლული ამხანაგი შალიკო ბარბაქაძე.

## თფ. მუშათა და ჯ.-პ. დეპ. საბჭოში

მდგომარეობა სამეგრელოში და ფრონტზე.

თავმჯდომარეობს ნოე ჟორდანია.

დასავლეთ საქართველოდან ახლათ ჩამოსული თფ. წითელ გვარდიის უფროსი ამხ. ვ. ჯუღელი აკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა ამ ჟამათ სამეგრელოში და ბათუმის ფრონტზე (საბჭო მას ტაშის ცემითა და ოვაციებით ხვდება). ჩვენ უნდა ვაღიაროთ—ამბობს იგი,—რომ ბათუმის ფრონტზე მეტათ მძიმე მდგომარეობაა; კიდევ მეტი,—მდგომარეობა ტრაგიკულია. თუმცა უკანასკნელ ხანებში საქმე ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ, სამწუხაროთ, არა იმდენათ, რომ ჩვენ გამარჯვების სრული იმედი ვიქონიოთ. ყველასათვის ცხადია, რომ ბათუმის დაცემას ხელი შეუწყო შინაურ ფრონტზე ბრძოლამ: ცხინვალმა და სამეგრელოს შინაურ ფრონტმა მოაცდინა ჩვენი საუკეთესო მებრძოლნი, რომლებსაც დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ ბათუმის დაცვაში... როდესაც თფილისის წითელი გვარდია მიეშურებოდა ბათუმისაკენ, რათა კარზე მომდგარ მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია, როდესაც სად. სამტრედიაში ჩვენ უკვე მივიღეთ ცნობა, რომ ბათუმი დაეცა და ეხლა უფრო საჭირო იყო გაათკეცებული ენერგია მტრის საწინააღმდეგოთ,—სწორეთ ამ დროს სამეგრელოდან გვატყობინებენ, რომ იქ ფართედ აწარმოებენ თავიანთ შავ საქმეებს ხულიგანთა ბრბოები და შიგნიდანვე უწყობენ ხელს მტრის გამარჯვებას. ჩვენ იძულებული შევიქენით ბათუმის მაგივრათ სამეგრელოში წავსულიყავით.

შემდეგ ის ვრცლათ ეხება იმ ბრძოლას, რომლის წარმოებაც წითელ გვარდიას მოუხდა მეგრელ ხულიგან „ბალშევიკებთა“ წინააღმდეგ. ბალშევიკებმა, დაინახეს რა ძალა წითელ გვარდიელებში, გაუგზავნეს უკანასკნელთ თავიანთი დელეგაცია. დელეგაცია მოითხოვდა დატყვევებულ „ბალშევიკების“ განთავისუფლებას და წითელ გვარდიის ნაცვლათ განსაკუთრებულ დემოკრატიულ სამხედრო ნაწილთა შედგენას. პირველ წინადადებაზე წითელ გვარდიამ უპასუხა, რომ ბალშევიკები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან განთავისუფლებული, თუ ისინი გაიმსჭვალებიან კარზე მომდგარ მტრიდან თავდაცვის საჭიროების იდეით. რაც შეეხება სამხედრო ნაწილების დემოკრატიზაციას, ეს საკითხი დემოკრატიისათვის უკვე გადაწყვეტილია, ვინაიდან წითელი გვარდია საუკეთესო დემოკრატიული ჯარია... მოხსენებიდან ირკვევა, რომ „ბალშევიკურ“-ხულიგანური მოძრაობა განსაკუთრებით იქ იკიდებს ფეხს, სადაც არავითარი ორგანიზაცია არ არის, სადაც რევოლიუციას ვერ მოუკიდებია ფეხი. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ მთელ მოძრაობის მეთაურათ, თითქმის დიქტატორათ გამოდის საკმაოთ მოუმზადებელი და ზნედაცემული ახალგაზრდა შ. ას—ვა. გაუნათლებელი მასსა ადვილათ ეგება ავანტიურისტ-ხულიგანების ანკესზე.

ბოლოს წითელ გვარდიამ შესძლო ამბოხებულ ხულიგანთა ბრბოების დამორჩილება. მათი „სოციალისტურ არმიის“ შტაბი გარეკილ იქნა. ხალხი, უმეტეს ნაწილათ, დარწმუნდა, რომ წითელი გვარდია სულაც არ არის თავადების მიერ მოსყიდული ჯარი, როგორც ამაში არწმუნებდენ მას უპასუხისმგებლო ბნელი ძალები, და ამ ხალხმა იწყო დამნაშავეთა დაჭერა და გვარდიელების ხელში მიცემა...

შემდეგ ის ეხება ბათუმის დაცემას და საზოგადოთ ამ ფრონტზე მდგომარეობას და აღიარებს, რომ ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი ჯარის ორგანიზაციის უქონლობაში უნდა ვეძიოთ. ბათუმისა და ოზურგეთის დათმობა—ეს სამარცხვინო ეპიზოდია ჩვენ სამხედრო მოქმედებაში. მაგრამ სამხედრო მოქმედების ანალიზიდან, თუ სახეში მივიღებთ მის ბნელ და ნათელ მხარეებს, მომხსენებელს მხოლოდ ერთი დასკვნა მიაჩნია უტყუარათ: **ჩვენ არ შეგვიძლია ძლევა-მოსილ შეტევის წარმოება; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოვოთ ძლევა მოსილი თავდაცვა.** გაძლიერებული შეიარაღებული თავდაცვა და დიპლომატიური მოლაპარაკება საზავო პირობებზე,—აი, მომხსენებლის აზრით, ის გზა, რომელზედაც უნდა შედგეს ამიერ-კავკასიის დემოკრატია. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ უნდა გაათკეცოს თავისი მოქმედება პროვინციაში, რათა მასსას ნათლათ ჰქონდეს წარმოდგენილი თავდაცვის საჭიროება და ამასთანავე მიწათ-მფლობელები და ბურჟუაზია იძულებული შეიქნენ გაიღონ თავიანთი წვლილი გარეშე მტრისაგან თავდაცვისათვის.

**ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.**

მოხსენების წინ ამხ. ნოე ჟორდანია იძლევა რამოდენიმე ფაქტიურ ხასიათის ცნობებს, რომლებიც დამოუკიდებლობის ისტორიას შეეხება. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კარლო ჩხეიძე.

ამხანაგებო! საკმაოთ ბევრი ითქვა იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც მე მსურს ეხლა გელაპარაკოთ. ამიტომ ბოდიშს ვიხდი მსმენელების წინაშე, თუ უნებურათ განმეორება მომიხდეს.

ჩვენ ვლაპარაკობთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. აქ არაფერი არ არის საშიშო; მაგრამ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ ბევრს რაღაც ყრუანტელს გვრის ხოლმე. მე პირადათ ამ სიტყვაში არავითარ ბოროტებას არ ვხედავ. ჩემში ასეთი რწმენის განმტკიცება სეიმში მოხდა. და რადგანაც მოგეხსენებათ სეიმში ჩვენს მეტი სხვებიც სხედან—მუსავატელები, დაშნაკელები და სხვ.,—ეჭვი დაიბადა, ხომ არ ვცდები ჩემ რწმენაში, მაგრამ არა თუ სეიმმა ვერ შეარყია ჩემი რწმენა,—სხვა ალაგებზე კიდევ უფრო განმტკიცა იგი. მაგალითად, მუშტაიდში, სადაც თითქმის ყველა ამხანაგები შეიკრიბენ და სადაც მქონდა ბედნიერება დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებია,—აქაც, ამხანაგებს არავითარი საშიშროება არ დაუნახავთ ამ სიტყვაში. გუშინ ასევე მოხდა მუშ. ჯ. კ. და გლეხთა დეპ. ცენტრში, ამ რევოლიუციის ტვინში. აქ, მაგალითად, ასეთ ფაქტს ჰქონდა ალაგი: დამოუკიდებლობის ერთმა მოწინააღმდეგემ იმის შემდეგ, როდესაც ამხ. წერეთელმა ილაპარაკა, ამხანაგს უთხრა: „წერეთელმა ვერ დამარწმუნაო“; შემდეგ, როდესაც წერეთელმა მეორეჯერ ილაპარაკა, ამ მოწინააღმდეგემ დამოუკიდებლობას მისცა ხმა (სიცილი) და ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ ხვალ ზეგ კიდევ მეტი დარწმუნდებიან იმაში, რომ დამოუკიდებლობა აუცილებელი ნაბიჯია დემოკრატიისათვის. მე ვფიქრობ, რომ აქაც, თქვენც მხარს დაუჭერთ დამოუკიდებლობას. ზოგიერთები ასე მსჯელობენ: დამოუკიდებლობა მიიღო სეიმმა; დამოუკიდებლობა არ არის, სასურველი ნაბიჯი და ამიტომ უნდა გადავაბრუნოთ სეიმიო, მაგრამ მაშინ უნდა გადააბრუნონ აგრეთვე ცენტრი, უნდა გადაგვაბრუნონ თქვენც! (სიცილი).. ცხადია, ამ საკითხს მეტათ დინჯათ აწონვ-დაწონვა უნდა... მაგრამ ბოდიშს ვიხდი, მე კიდევ გამომრჩა ერთი ფაქტი: მუშათა კრებაზე, სადაც 2000 მდე მუშა შეიკრიბა, თითქმის ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც დამოუკიდებლობას მოითხოვს. მაშასადამე, ცხადია, მე მარტო არ მქონებია ასეთი რწმენა: ჩემთან არის ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი კამპანია (სიცილი)... მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვრცლათ უნდა შევეხოთ ამ საკითხს; სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სიტყვა დამოუკიდებლობა დღიურ წესრიგში დაისვა რევოლიუციის პირველ დღეებშივე. მაშინ ყველა გაიძახოდა თვითგამორკვევაზე, სიტყვის, ბეჭდვის და სხვ. თავისუფლებაზე. მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნოდი, რომლებიც დიდის აღტოვანებით ეგებებოდენ ამ სიტყვას. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაშინ ჩვენს წინაშე მაინც დგებოდა ერთი „მაგრამ“. საქმე იმაშია, რომ ეს სიტყვები ეხლა უნდა განხორციელებულიყო, თეორეტიულ მსჯელობიდან პრაქტიკულ ხორცშესხმაზე უნდა გადასულიყო. და აი, აქ იბადებოდა წინააღმდეგობა: ჩვენ ასეთ პოზიციას ვადექით: ჯერ უნდა განმტკიცებულ იქნას ის თავისუფლება, რომელიც რევოლიუციამ მოგვიპოვა და შემდეგ განხორციელდეს ეს დიდებული მიზნები. უკრაინელებს ჩვენ ვეუბნებოდით: დაიცადეთ ჯერ, სანამ თავისუფლება და რევოლიუცია განმტკიცდება, სანამ მომზადდება ნიადაგი დამოუკიდებლობის განსახორციელებლათ. ასევე ვეუბნებოდით ფინელ ამხანაგებს. მაგრამ არა მარტო ამაშია უბედურება; როდესაც ჩვენ ასე ველაპარაკებოდით ამხანაგებს, ისინი გვიკიჟინებდენ: თქვენ მხოლოდ სიტყვით სცნობთ ყველაფერს, საქმეზე კი არ ასრულებთ დაპირებებსო. ეს „ამხანაგები“ იყვენ ბალშევიკები. და ყველა ამისთვის ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერებს, ბურჟუებს გვეძახდენ. ჩემზე, სხვათა შორის, იმასაც კი ამბობდენ, რომ მე თითქოს პეტროგრადთან ორი დიდი ქარხანა მქონებოდეს (სიცილი)...

მე დღესაც იმავე პოზიციაზე ვდგევარ, რომელზედაც რევოლიუციის პირველ დღეებში ვიდექი. და დღეს, როდესაც ოსმალეთი, თუ ჩვენ გვსურს მასთან საზავო მოლაპარაკება ვაწარმოოთ, გვიყენებს ულტიმატურ წინადადებას—ვისი სახელით გველაპარაკებით, რა გქვიათ სახელიო, მე გამახსენდა რევოლიუციის პირველ დღეების დიდებული ლოზუნგები და შევეკითხე ჩემს თავს: შეიძლება, უკვე დადგა დრო, როდესაც ეს ლოზუნგები უნდა განხორციელდეს, შეიძლება, უკვე დროა „სიტყვიდან“ საქმეზე გადასვლა? და ჩვენ გვგონია, რომ ეს დრო უკვე დადგა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება—ეს დღეს ერთათ-ერთი გზაა, რომელზედაც მტრებ-შემოსეული ამიერ-კავკასიის დემოკრატია უნდა დადგეს. მაგრამ აქ გვეკითხებიან დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი: რა გარანტიას იძლევით იმისას, რომ დამოუკიდებლობა იხსნის ამიერ-კავკასიის დემოკრატიასო? თავის-თავათ ცხადია, გარანტიაზე ლაპარაკი აქ არ—შეიძლება. რა გარანტია შეუძლია მაგალითათ, ინგლისს თავისი თავის: ლოიდ-ჯორჯი ვერ იტყვის დღეს გადაჭრით, ვინ გაიმარჯვებს საერთაშორისო ომში—ინგლისი, თუ გერმანია.

აქ გარანტიაზე ლაპარაკი შეუძლებელია. თუ ჩვენ არ ვიძლევით სრულ გარანტიას, მოწინააღმდეგენი სულ არავითარ გარანტიას არ იძლევიან თავიანთ პოზიციის სასარგებლოთ.

კითხულობენ, ვინ ისარგებლებს დამოუკიდებლობის გამოცხადებითო? რასაკვირველია, თვითეული შეეცდება იგი თავის მიზნებისათვის გამოიყენოს: მუსავატელები გამოიყენებენ მუსავატისტურათ, დაშნაკები დაშნაკურათ, ეშმაკი ეშმაკურათ და სხვ. მაგრამ ჩვენ ეს ჩვენებურათ, სოციალისტურათ უნდა გამოვიყენოთ. და ჩვენი მოვალეობა სწორეთ იმაშია, რომ ჩვენ ვსძლიოთ სხვები...

შემდეგ დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი სხვა გზით გვაშინებენ. დამოუკიდებლობა ერთგვარ განცალკევებას ნიშნავს, ეს კი ბევრს ყრუანტელს გვრის ტანში. საკითხავია: ვის ვეყოფით? და აი აქ იჩენს თავს მეტათ მწვავე საკითხი. ჩვენ რუსეთს ვეყოფით. რუსეთთან კი, ჩვენ ვიცით, დიდი ხნის სიყვარული არსებობს. სიყვარული, ეს სათუთი, ჩუმი გრძნობაა... მოსპეთ რუსეთთან ეს კავშირი, სიყვარული და ამასთანავე თქვენ მოუსპობთ სიცოცხლეს ამიერ-კავკასიას (ცხურვალე ტაში). მაგრამ რომელ რუსეთს ვეყოფით? ჩვენთვის ნათელია, რომ მთლიანი, ერთი რუსეთი არას დროს არ არსებობდა. წინათ ჩვენ ვლაპარაკობდით. არის ორი რუსეთი: მეფის ანუ დამონავებული რუსეთი და დემოკრატიული რუსეთი. დღესაც ორი რუსეთი არსებობს: ერთია „ბალშევიზმის“ რუსეთი და მეორე კი დემოკრატიული. პირველმა რუსეთმა ჩვენ გაგვრიყა, დამოუკიდებლობაში ჩაგვაგდო; მან მოგვგლიჯა დემოკრატიულ რუსეთს.

აქ, რასაკვირველია, იდეურ ბალშევიკებზე არ არის ლაპარაკი: ასეთები თუ კი არსებობენ,—მათ არავითარი გავლენა არ აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. დღეს ბატონობს სხვა „ბალშევიზმი“, ეს „ბალშევიზმი“—კონტრ-რევოლიუციაა! დღევანდელი „ბალშევიზმი“ საფრთხეს უმზადებს არა მარტო რუსეთის ერებს; იგი საფრთხეს უმზადებს მთელ ქვეყანას! (ტაში). თანამედროვე „ბალშევიზმი“ თავისკენ იზიდავს ყველაფერს, რაც შავბნელი იყო ცარიზმის დროს (ტაში) და ჩვენ ვლაპარაკობთ: შორს, შორს, ამ „ბალშევიზმიდან“; მაგრამ რუსეთი „ბალშევიზმი“ არ არის; დემოკრატიულ რუსეთთან ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დავრჩებით სიკვდილამდე (ტაში).

დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ მხოლოდ ვადასტურებთ იმ მდგომარეობას, რაც ფაქტიურად შეიქნა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არა დამოუკიდებლობა გვაშორებს ჩვენ, არამედ წყეული ომი; არა დამოუკიდებლობამ მოგვწყვიტა ჩვენ [illegible] და სხვ., არამედ [illegible] „ბალშევიზმიც“ ომს აწარმოებს... ჩვენ რომ დავუშვათ, რომ „ბალშევიზმი“ გაიმარჯვებს, რომ იგი ფეხს მოიკიდებს სხვა ქვეყნებშიაც, მაშინ ჩვენ ჯვარი უნდა დაგვესვა მთელ კულტურისათვის: „ბალშევიზმი“ ჩამორჩენილობის, განუვითარებლობის პირმშო შვილია

ჩვენ დღეს ორ მხრივ გვიხდება ბრძოლა: რუსულ და ოსმალურ „ბალშევიზმთან“. რუსული „ბალშევიზმი“ არაფრით არ განირჩევა ოსმალურისაგან. ესენი ორი მხარეა ერთ და იმავე მედალისა: ერთი მხრივ დახატულია მახმუდ მეხუთე, მეორე მხრივ კი ჯერჯერობით თავისუფალი ალაგია დატოვილი,—ცხადია, ვილ ც ნიკოლოზისებურისათვის. და ჩვენ არ შ გვიძლია ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობა პანაცეური საშუალებაა. ჩვენ წინადადებას გვაძლევს ოსმალეთი. საზოგადოთ, არას დროს და არსად ადამიანები არ სტყუოდენ იმდენს, რამდენსაც ამ ომის დროს სტყუიან; არას დროს არ იკვებებოდენ ილიუზიებით იმ ზომ, როგორც ეს დღეს ხდება. და შეიძლება დამოუკიდებლობა არავითარ დახმარებას არ გაუწევს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მეორე საცდელი გზა არ არსებობს... აქ ჩვენ გვიკიჟინებენ: ეს ხომ ექსპერიმენტებიაო! დიახ, ექსპერიმენტია; მაგრამ დღეს, როდესაც არსად ხსნის გზა არ სჩანს, ვერვინ უარყოფს ასეთ ექსპერიმენტებს. ჩვენ ყოველთვის ნაკლებათ ვაწარმოებდით ექსპერიმენტებს.

დიახ, ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას და, დეე, იცოდეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა, მთელი ქვეყნის დემოკრატიამ, რომ ჩვენ გვაიძულეს ასე მოვქცეულიყავით, რომ ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას ეშმაკების, ჯოჯოხეთის ძალთაგან! (მქუხარე ტაშის ცემა).

მოკამათე არვინ აღმოჩნდა. ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში. თავი შეიკავა ცამეტმა კაცმა.

შემდეგ ბაქოს ამბების შესახებ მოხსენებას აკეთებს ბაქოდან ჩამოსული ამხანაგი აბაშიძე, რომელიც ბევრ საინტერესო ცნობებს იძლევა იქაური მდგომარეობის შესახებ. ამხანაგი ამბობს, რომ ბაქოს ამბები ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულა, ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ კარებზე ხშირათ იყო გაკრული განცხადებები: „აქ რუსები სცხოვრობენ“. დღეს ბაქოში სამი „სუვერენულ“ ძალა-უფლებით აღჭურვილი მთავრობაა: აღმასრულებელი კომიტეტი, ჯარის ცენტრი და თავდაცვის შტაბი. გაზეთები, ბალშევიკურის გარდა, არ გამოდის. ბალშევიკები ბათუმის დაცვას არ სცნობენ საჭიროთ; ისინი გაიძახიან მხოლოდ: ოსმალურ ორიენტაციას ვებრძვითო. ფაბრიკა-ქარხნები უმეტესათ არ მუშაობენ. პური არ იშოვება. ამის გამო ბევრი წითელ გვარდიაში ეწერება, ვინაიდან იქ 1 გირვანქა პურსა და 100 მან. ჯამაგირს იძლევიან. გამოცხადებულია ფლოტის ნაციონალიზაცია, მაგრამ მუშები ხშირათ გარბიან და ბალშევიკურ ორგანიზაციებს არ ყოფნით ძალა, გაქცეულები დააბრუნონ. ემ—ჩენ.

## გურულების საყურადღებოთ

1918 წლის იანვარში ოზურგეთში შესდგა მთელი მაზრის სასოფლო და სარაიონო სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია განსაკუთრებული კომისია სიმინდის შესაძენათ. ამ კომისიაში აირჩიეს: ტორონჯაძე, ან. ლომჯარია და სიმონ ურუშაძე (ოზურგეთის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელი). ყრილობის დადგენილებით სიმინდის შეძენა დაევალა სამაზრო სასურსათო კომიტეტს კოოპერატივების კავშირთან ერთათ. ფულების მოკრება კი ერთის მხრივ მე როგორც სასურ. კომ. თავმჯდომარეს და მეორე მხრივ კავშირს.

შექმნილი მდგომარეობის გამო, რომ ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნას აცილებული და დღევანდელი ტეხილობით გამოწვეულ პროვოკაციას ნიადაგი არ დაურჩეს ამ საქმის გარშემო, მე საჭიროთ მიმაჩნია გაზეთის საშუალებით ვამცნო საზოგადოებას იმ ფულების ანგარიში, რომელიც ჩემს ხელში მოვიდა. მე საკუთარი ხელწერილით ჩავიბარე ფულები შემდეგი საზოგადოებებიდან: ასკანის კოოპ. „სარგებლობა“ 2,500 მან., ვანისქედის კოოპერ. „წინ“ 4,000 მ., ნატანების რაიონულ კავშირისაგან 25,000 მანეთი, შემოქმედის საზოგადოებიდან 26,515 მ., იქიდანვე ცალკე 500 მ., ბახვის საზოგადოებიდან 32,262 მ., ლანჩხუთის სარაიონო კომიტეტიდან 9,000 მ., აცანიდან 1,000 მ., ზემოხეთიდან 1,000 მ., ბასილეთის კოოპერატ. თავდაცვისაგან 7,300 მ., ზედა-ძიმითიდან 2,100 მ., სამების სოფლიდან 1,000 მ., ზედა ძიმითის კოოპერატ. „იმედისაგან“ 4,300 მ., ძიმითის კოოპერატივ „კავშირის“

1,800 მ., კვირიკეთის კოოპერატ. „შრომა“ 7,840 მ. სულ 126,117 მან.

ამ ფულებიდან 20 თებერვალს გადავგზავნე ჩრდილოეთ კავკასიაში სიმინდის შესაძენათ ამიერ კავკასიის სასურსათო გამგეობის საშუალებით და მისი გარანტიით სიმონ ურუშაძის ხელით და ათანასიოს ლომთათიძის თანხლებით 50,000 მ. (სათანადო საბუთი ინახება). ამავე წლის 9 მარტს იმავე სიმონ ურუშაძეს, როგორც ყრილობის მიერ არჩეულ პირს, გადავეცი სამეგრელოდან სიმინდის მოსატანათ 41,000 მან. ამავე საქმისთვის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს შალვა ჭოჭუას გადავეცი 15,000 მ. (ყველასაგან მაქვს საბუთები, რომლებიც სათანადო ალაგას ინახება). ბათუმის დაცემის შემდეგ ჩემთან გამოცხადდნენ და უკან დაიბრუნეს შუა მარტს აქეთ შემოტანილი ფულები შემდეგმა პირებმა: დავით ხინიკაძემ წაიღო ძიმითის საზოგადოებისთვის 2,100 მან., დომენტი სამსონიამ ზედა ძიმითის საზ. კოოპერ. „იმედისთვის“ 4 300 მ., იაგორ დ...აძემ ძიმითის კოოპერატივ კავშირისათვის 1,800 მ. და კვირიკეთის კოოპერატივ შრომისათვის წაიღო გრიგოლ თიკანაძემ 7840. (ფულათ 7402 მანეთი 50 კაპეიკი და 437 მანეთი და 50 კაპ. სიმინდით) სულ ამ რიგათ დაბრუნებულ იქნა უკან 16.040 მ.—ამნაირათ ამ ფულებიდან ჩემი ხელიდან გავიდა სულ (50 000+41 000+15 000+1604 ). 122.040 მანეთი. დანარჩენი 4077 მანეთი ინახება საიმედო ალაგზე; აგრეთვე ინახება ამ ანგარიშების ყველა გასამართლებელი საბუთები სათანადოთ შემოწმებული. უკანასკნელად მიღებული ცნობებით ჩრდილოეთ კავკასიაში სიმინდი ბლომათ არის შეძენილი ჩვენი რწმუნებულის ვასო ჭელიძის მიერ, მაგრამ გზის უქონლობის გამო ჯერ ვერ მოგვისწრო. სამეგრელოს რაიონიდან ახ-სენაკიდან მიიღეთ ორი „ნაკლადნოით“ 1992 ფუთი და 8 გ. სიმინდი და 67ფ. სიმინდის ფქვილი. ეს უკანასკნელი გადაეცა ოზურგეთის კოოპ. „ეკონომიას“ გასაყიდათ, ხოლო 1992 ფ. 8 გ. სიმინდი განაწილდა შემდეგ ნაირათ: კოოპერატივებს და საზოგადოებებს 1778 ფ., კერძო პირებს 209 ფ. 22 გირ. დააკლდა წონაში 6 ფ. 36 გირ. სულ შედგა 1992 ფ. და 8 გირ. ამ სიმინდის გამოსაყიდათ გამოეკლო შემოტანილი ფულებიდან, ჩემთან შემოტანილ თანხიდან ნატანების რაიონულ კავშირს 4923 მ. 28 კაპ. 300 ფ. და 8 გირ. სიმინდის ფასი; შემოქმედის საზოგადოებას 250 ფ. სიმინდის ფასი 4375 მან., ბახვს 4375 მან. ასკანის კოოპერატივ „წინ“-ს 3500 მ. (200 ფ. სიმინდის ფასი) და კვირიკეთის კოოპერატივ 437 მ. და 50 კაპ.—კავშირში შეტანილი თანხიდან: ოზურგ. კოოპ. „საუნჯე-ს“ 142 მ. 50 კ. ზვანის კოოპერატივს 425 მან. დვაბზუს კოოპერატივებს 68 ფ. სიმინდის ფასი 1190 მ. ოზურგეთის კოოპერატივ „ეკონომია“-ს 425 მ. (ამავე კოოპერატივზე ითვლება 67 ფ. სიმინდის ფქვილის ფასი, ლიხაურის კოოპერატივს 125 მ და გაღმა-გამოღმა მელექედურს—445 მან. გარდა ამ ანგარიშისა თვით ქალაქ ოზურგეთის მცხოვრებთაგან მაქვს მიღებული ცოტა ფულები, რომლითაც არავითარი წერილობითი საბუთები არ აქვთ ჩემგან. ჩემთან კი ინახება მათი სია—ამ ფულებიდან უდიდესი ნაწილი დაიბრუნეს უკან 5, 6 და 7 აპრილს, და დარჩენი კი ინახება ჩემზე და ვისაც სურს წაიღებს პირველი მოთხოვნისთანავე.

ოზურგეთის სამაზრო სასურსათო კომ. თავმჯდ. ვიქტორ ბ. ღლონტი.

თფილისი, 10 აპრილი 1918 წ.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

## სოც.-დემ. პარტიაში

ირ. წერეთლის და კ. ჩხეიძის მოხსენება თფ. მეოთხე რაიონულ კრებაზე. შარშანდელ მარტის დღეებშიაც ერთი მრავალრიცხოვანი პარტიული რაიონული კრება არ გვინახავს. ზალაში ტევა არ იყო.

„მიტინგების დრომ განვლო, ამხანაგებო“, იწყებს თავის სიტყვას ირ. წერეთელი, რომელსაც კრება ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ოვაციას უმართავს. კრებებს და მიტინგებს მნიშვნელობა ქონდა, როცა დემოკრატია უნდა გაჭედილიყო დიდი რევოლუციის ლოზუნგებით, რუსეთის დემოკრატიის უმრავლესობამ ვერ გამოიჩინა უნარი გადაერჩინა თავის-თავი იმ გამხრწნელ გავლენისაგან, რომელიც გაბატონა ბოლშევიზმა. მას ორი საფრთხე ემუქრებოდა; მარჯვნიდან კონტრ რევოლუცია, მარცხნიდან ანარქია, პირველის წინააღმდეგ მან შესძლო ნაყოფიერი ბრძოლა, მეორესთან ბრძოლას ის დაჩვეული არ იყო და კიდევაც ძლეულ იქნა; ხიშტზე გატონებულმა უპრინციპობამ დაამარცხა დემოკრატია.

ამის გამო ამიერ კავკასიის დემოკრატიის წინაშე დადგა ახალი საკითხი და ხსნის, გაიშალა ახალი ასპარეზი, ახალი გამოსავალი.

წერეთელმა თავის სიტყვაში როგორც სხვაგან, ნათელყო დამოუკიდებლობის აუცილებლობა, ის დიდი როლი, რომელიც მას შეუძლია ითამაშოს კავკასიის ერების განადგურებისაგან გადარჩენის საქმეში.

მან ისეთივე ნიჭიერი და ცეცხლის ამგზნები ენით ილაპარაკა ქართულ ენაზე, როგორც რუსულად.

კ. ჩხეიძემ ილაპარაკა რუსულად.

მე, ამხანაგებო, წერეთლის შემდეგ ლაპარაკი საჭიროდ არ მიმაჩნია, მხოლოდ თუ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ არ თქვათ—ჩხეიძე მოვიდა და წავიდა. კრინტიც არ დასძრაო.

მოწინააღმდეგენი გვიწუნებიან—კავკასიის დამოუკიდებლობას მოითხოვს მუსავატისტები — ბურჟუაზიულ ფეოდალური პარტია და როცა მეორე თხოულობს იმას, რასაც შენ, ჩანს შენ სცდებიო.

თუ ყველაფერ იმაზე უარი ვთქვით, რასაც მოწინააღმდეგე თხოულობს,—რა დაგვრჩება ჩვენ, ამხანაგებო? ყველაფერი ცუდი, ვინაიდან ისინი დაიწავლიან ამას და ყველაფერ კარგს მოითხოვენ.

მე ცოდვილი სათათბიროში სიტყვის თავისუფლებისათვის ვიბრძოდი, თუმცა მილიუკოვიც თხოულობდა ამას. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ფოსტა-ტელეგრაფის ბიუჯეტის განხილვის დროს კადეტებმა მოითხოვეს ამ მოსამსახურეთათვის 7 საათის სამუშაო დღე. ბოლშევიკების ფრაქციამ მალინოვსკის პირით ამის წინააღმდეგ მისცა ხმა, მე კი, საბრალომ, მხარი დავუჭირე. საქმე იმაშია, ვის რათ სჭირია ესა თუ ის თავისუფლება და ვინ როგორ გამოვიყენებთ —ჩვენ ჩვენებურათ, მტერი მისებურათ.

ბოლოს მან აღელვებით განაცხადა—ჩემი სულიერი კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან გავატარე, ეს ჩემი სიცოცხლის ისტორია,—ვინ გაბედავს მასწავლოს მე ამ კავშირის საჭიროება ნამდვილ რუსეთის დემოკრატიასთან, რომელიც ეხლა ბოლშევიკების წყალობით მიწაზეა გართხმული და რომელიც ვერავითარი ტერიტორიალური საზღვარი ვერ დაგვაშორებს და გაგვთიშავს, როცა ის ხელ-ახლა აღდგებაო. კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გამოტანილი იყო საოლქო ცენტრის მიერ.

იბრაგიმ.

რ...ინის გზის სამართველო. 10 აპრილს შესდგა პარტიის მცირე კოლექტივის სხდომა. განსახილველი იყო თანამედროვე მომენტის და წითელ-გვარდიელთა გაწრთვნა. პირველ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მცირე კოლექტივმა განიხილა რა საკითხი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ და იღებს რა მხედველობაში შექმნილ მდგომარეობას, რომლითაც საფრთხე მოელის დემოკრატიის მოპოებას, შესაფერისად სთვლის ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობათ გამოცხადებას და ყოველივე ძალით და ღონით ეცდება ხელი შეუწყოს სეიმის 9 აპრილის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას“.

მეორე საკითხმა, სახელდობრ,—სამმართველოს გვარდიელთა შესახებ კრებამ გამოარკვია, რომ სამმართველოს გვარდიელებს სამხედრო ვარჯიშობა არ გაუვლიათ და მასთანავე ცოტა სხვა ნაკლულევანობასაც აქვს ზოგიერთ მათგანში ადგილი, სურვილი გამოითქვა, რათა ეს ნაკლულოვანობა გასწორებულ იქნეს სამხედრო ვარჯიშობის მოსაწყობათ კი მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები.

საქარელი მ.

## მუშათა შორის

თფ. საქონლის სადგური. მუშებმა ბევრი გაჭირვება გადაიტანეს იმიტომ, რომ მათ იმედი ქონდათ შემდეგში ცოტათ თუ ბევრათ მაინც შეიმსუბუქებდენ მდგომარეობას და საშვალება მიეცემოდათ ცოლშვილისთვის ნუგეში მიეცათ, მაგრამ ეს არ გამართლდა. იმის სამაგიეროთ, რომ მუშებს ყველას ერთად შვიდი თვის დანაკლისი ფული აეღო, ამის სამაგიეროთ 13 აპრილს მიიღო რამოდენიმე მუშამ; ამან დიდი აღელვება გამოიწვია ყველა მუშებში და წყევლა-კრულვით იხსენიებდენ საქმის ამრევთ. მეორე დილას მოხდა სასწრაფო კრება, თუ რა არის მიზეზი დაკლებული ჯამაგირების მიუღებლობის. იმ წამსვე გამოიწვიეს განყოფილების უფროსი აგენტი და ადგილობრივი სადგურის „სტოლის“ გამგე კარლინსკი, რომელთაც მოახსენეს მუშებმა საქმის ვითარება და აუხსნეს, თუ რაში იყო საქმე. მან აუხსნა მუშებს ამ ფულის მიუღებლობა და შეჰპირდა დაგირიგდებათ ფული ჯამაგირთან ერთადო, თუ კი საშვალებას მოგვცემთ, მხოლოდ განაგრძეთ მუშაობა, თქვენ ისედაც გამეფებულ ანარქიას ხელი არ შეუწყოთო.

თუ მალე არ იქნა ზომები მიღებული მუშების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მოსალოდნელია სადგურში არასასიამოვნო ამბების დატრიალება. იმედია მთავრობა ფეხელ ბრძანებას გასცემს, რომ მუშებს დაურიგდეს დაკლებული ჯამაგირი და ერთდროული დახმარება მიეცეთ სააღდგომოთ მაინც.

ს. ქრისტინეშვილი.

## პროვინცია

ს. ყარა-მუღალმო. (გარე კახ. თფ. მაზრა). ეს სოფელი თფილის-დან მდებარეობს 25 ვერსზე. მცხოვრებთა რიცხვი 280 სული თათრებია. მისდევენ ხვნა-თესვასა და მეჯოგეობას; აქ დიდ მემამულეთ ითვლება დადიანი, რომელსაც ექნება 1500 დეს. მიწა ვენახ წისქვილებით, არიან შემდეგ სხვა მემამულეებიც ცოტა მოშორებით და ერთი ორი თვით აქაც მოიპოვებიან შესამჩნევი მემამულეები. ირგვლივ სცხოვრობენ ქართველები და ნემცები. მეზობლობა კარგი აქვთ, თუმცა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, ამ დღეებში არა სასიამოვნო შემთხვევას ქონდა ალაგი. 25 მარტს თელავში (შიგ. კახეთში) ავაზაკებს ვერაგულად მოეკლათ იმ მხარეში ყველასგან კარგად ცნობილი და ჩვენ დროში უკვე ხალხისგან ძმათ მიღებული ქოჩქა ვარძალაშვილი, რამაც როგორც სხვებში ამ თათრებშიაც გამოიწვია შეწუხება და ყველანი დაეძებდნენ დამნაშავეს. სწორედ ამ დროს ვიღაც პირის გავრცელებია ხმა: ვითომ ქოჩქას მკვლელები არიან ყარა მუღალმოში,—ამ მიზეზით წამოსულიყვენ რამდენიმე შეიარაღებული ქოჩქას ამხანაგები მკვლელების აღმოსაჩენათ, რასაც ეს სოფელი ძლიერ აეღელვებია, და რომ ეს მოვლენა სართიჭალის რაიონის კომისარ გ. ჯოლაურს დროზე არ გაეგო და გონივრული ზომები არ მიეღო, მოსალოდნელი იყო მსხვერპლს სხვა უდანაშაულო მსხვერპლი მოყოლოდა; გამოირკვა, რომ მკვლელები ამ სოფლიდან არ არიან,—პირიქით, ის პირნი, რომელზედაც ეჭვები იყო, დიდათ სწუხდარიან და იღებენ ენერგიულ ზომებს მკვლელების აღმოჩენაში, მაგრამ ხალხის მტერთ არ სძინავსთ და აი, 10 აპრილს, როცა სოფ. მუხროვანში მიწების ახალ კანონს აცნობდენ იქაურ მცხოვრებთ (7 ვერს მოშორებით) ხმა გავრცელდა: თათრებს სომხები დაესხნენ და სროლა არისო. მართლაც ყრუ თოფის სროლაც ისმოდა. იმ წამსვე იქეთ გავეშურეთ, როგორც ვფიქრეთ გავლენას მოვახდენდით, ეს იყო უკვე ნაშუადღევის ორი საათი, გზადაგზა ვინც შემხვდებოდა ყველა ძარღვებ დაჭიმულნი იყო ამ ამბვით—სროლა გაეგონათ და ახლო კი არვინ მიკარებოდნენ. ნამდვილი არავინ იცოდა. მივედი და ვნახე მართლაც 50-მდი შეიარაღებული თათრები იყვენ. ჩემ შეკითხვაზე—უბედურება ხომ არ მომხდარა თქვა, ერთმა მიპასუხა: „ქართველები და სომხები შეერთებულან ჩვენდა ამოსახოცათო“, ბოლოს გამოირკვა: ყარაიაზზე ვიღაცას პროვოკაციულ მიზნით ხმა გაევრცელებია ვითომ სომხები და ქართველები თათრებს თავს ესხმისო, იქაც შეიარაღებულნი წამოსულიყვენ, რა დაინახათ მომავალი რაზმი მუღალმოს მცხოვრებთ წარმოედგინათ ჩვენდა წინააღმდეგ მოდის სომხებიო და სროლა აეტეხათ, საბედნიეროდ, მომავალ რაზმს გონიერობა გამოეჩინათ ნიშნის წყალობით სროლა შეჩერებულა. იქვე მოვიდნენ სხვა სოფლის წარმომადგენელნიც კომისარი მ. ჯოლაური, რომელსაც ძლიერი ნდობა აქვს ყველა ამ რაიონში მცხოვრებ ეროვნებაში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ ბნელი ძალები მუშაობენ, რის წინააღმდეგ დაადგინეს ყოველი ზომების მიღება. მე გავაცანი რა ახალი კანონი მიწის ჩამორთმევისა და მშრომელი ხალხისათვის გადაცემა უსასყიდლოთ, დიდი კმაყოფილება გამოიწვია მათ შორის (თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქაურ ზოგიერთ მსხვილებს). ამ რაიონში, სამწუხაროდ, დიდი სიბნელეა, მაგრამ ეს სოფელი ამ მხრივ ყველას სჯარბობს, საჭიროა სასწავლებელი, რაც შეიძლება, ჩქარა, საჭიროა მუსულმანი პროპაგანდისტი, რათა უფრო გავლენა მოახდინოს, რომ დარწმუნდენ ინტერნაციონალში მუსულმანებიც შედიან. უნდა დაჩქარდეს აქეთაც მიწების მიმღები კომისიის გამოგზავნა რომ დარწმუნდეს მიწის მუშა მომავლისათვის მაინც მოწესრიგებული იქნება საადგილ მამულო საქმე. ეხლა მემამულეებიც დამფრთხალნი არიან სიკვდილის შიშით, რადგან ზოგიერთა მაზრებში ველურობა გამოიჩინეს, ამ მხრივ ამ რაიონის მიწის მუშები წმინდანი არიან და ტყვილა ეშინიათ მემამულეებს თავიანთ მამულში მოსვლა. ხალხი ამბობს: „ძველი ცოდვები გვიპატიებია, ახალს ნურავინ ჩაიდენსო“. ძლიერ მოსწონთ ის მუხლი ახალი კანონისა, რომელიც კანონის დამრღვევის ქონების ჩამორთმევით კატორღაში გზავნის. საზოგადოთ ახალი კანონი დიდ იმედებს იწვევს და ალგვითქვამენ ყოველის მხრივ ენერგიულ დახმარებას მის დაუბრკოლებლივ ცხოვრებაში გასატარებლათ. წყევა-კრულვით იხსენიებენ, ვისის მიზეზითაც რუსეთის რევოლიუციურ ხალხის ძალები დაქუცმაცდა და საერთო პატრონი—დამფუძნებელი კრება გაირეკა. იმედი აქვს მათთან ერთათ ამიერ-კავკასიის რევოლიუციური ხალხი შესძლებს რევოლიუციური წესის დამყარებას. ეროვნებას მოუთმენლათ ელიან.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

ს. ოჟიოში (თელავის მაზრა) შესდგა კრება მიწის საკითხის შესახებ. მიწვეული იყო 4 სოფლის წარმომადგენლები მიწათა კომიტეტის კრებაზე. სხვა ხალხიც დაესწრო. მოხსენებას აკეთებს გ. თევდორაშვილი: მიწის საკითხზე, გარეშე საფრთხეზე, მობილიზაციაზე, შინაურ არევ-დარევაზე და წითელი რაზმის შედგენაზე. ილაპარაკა აგრეთვე დღევანდელი ვითარების შესახებ და ორგანიზაციებზედაც. ხალხი კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ ილაპარაკა ნოე ლეჟავამ იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება მიწის დანაწილება.

გარეთკახელი.

## წერილი რედ. მიმართ

„მოსავალი“-ს მოსამსახურეთა საბჭოს წერილის პასუხათ.

„მოსავალის“ მოსამსახურეების საბჭო არ დაერიდა არავის და დემაგოგიით მოისურვა მიზნის მიღწევა. არ დაერიდა არც წესდების დარღვევას. საინტერესოა, ბ. პაიჭაძეს რაღა ორი დღის წინ თავის წასვლისა დასჭირდა ყველა ეს. საკვირველია, რომ საბჭოს წევრების შორის წავიდნენ, რომლებიც ხშირათ ფიქრობდნენ გამგეობა დაეთხოვნათ და თვითონ დაეყენებინათ გამგეობა.

არ ვიცი, რა საბუთით გვაკიჟინებს პაიჭაძე, რატომ სიჩუმით არ შევხვდით მათ განცხადებას, რომ წევრებს კრებას იწვევდნენ. გამგეობა მოვალე იყო ხმა ამოეღო, მით უფრო, რომ ბევრმა ვერ გაიგო ვინ იწვევდა კრებას. მართალია კრების მოწვევა ჩვენ ისედაც გადაწყვეტილი გვქონდა. და თუ დაგვიანდა, ამას თავის მიზეზები აქვს, რაც კარგათ იცის თვით პაიჭაძემ, მაგრამ ჩვენ ნება არ გვქონდა ვისმესთვის წესდების წინააღმდეგ ჩვენი უფლებები დაგვეთმო. ჩვენ ავვირჩია საერთო კრებამ და არა მოსამსახურეთა საბჭომ.

მოვისმინოთ პაიჭაძის ბრალდებები:

1 პუნქტში ბრალს გვდებს, ვითომ გამგეობა გაურბოდა პროფესიონალურ კავშირს და ლებულობდა პროტექციით. საინტერესოა ვიცოდეთ, ვის რეკომენდაციით არის მიღებული პაიჭაძე, იტრიევი და სხვები, როდესაც გამგეობის წევრი არც კი იცნობდა მათ? იყო თუ არა შემთხვევა, რომ რამდენჯერმე მე თვითონ მივმართე „ბოლშევიკების“ პროფესიონალურ კავშირს და მოვსთხოვე მუშები, იყო თუ არა შემთხვევა შრომის ბირჟას მივწერეთ, რამდენი პირია მიღებული სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახ. პროფესიონალურ კავშირისგან? და თუ გამოცხობებს ვღებულობდით, ეს ჩვენი ბრალი არ იყო, მათ არ ქონდა არც კავშირი და არც არსებობდა მაშინ საბჭო. ბევრი მოსამსახურეები გადმოვიდნენ 11 უბნის სასურსათო კომიტეტიდან, როდესაც ფურნე შევისყიდეთ. კარგი იყო დაესახელებინათ ერთი შემთხვევა მაინც, რომ პროტექციას ადგილი ქონდა, მაგრამ ამას ვერ იზამდენ, რადგანაც ამის საბუთი მათ არ აქვთ. შეიძლება პროტექციას ეძახიან, როდესაც პოლიტიკ. დასჯილებს ვღებდით.

2 პუნქტში გვიყენებენ ბრალდებას, ვითომ ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით სანიტარულ მხარეს. რამდენჯერ მივეცით წინადადება მუშებს, ოთახი მოენახათ. განა თვით საბჭოს წევრი დიდიძე არ ეუბნეოდა ამის შესახებ მუშებს, ჩვენი ბრალი არ არის, თუ მათ ბინა ვერ იშოვეს, ჩვენ შევდიოდით მათ მდგომარეობაში, რადგანაც ძალიან ძნელი იყოს ბინის შოვნა, ასე რომ იმდენი ბრალი გვედება ამ საკითხში, რამდენიც თვით საბჭოს და მუშებს.

3 ჩვენ ვითომ არ გვსურდა გაგვეუმჯობესებინა მათი მატერიალური მდგომარეობა, არც ეს არის მართალი, რადგანაც უფულობის გამო მოუმატეთ მხოლოთ იმისთანა მოსამსახურეებს, რომლებიც ძალიან ცოტას ღებულობდნენ.

ბ. პაიჭაძე იქვე ატანს, გამგეობამ რომ მოიწვია მოსამსახურეების შეერთებული კრება საბჭოს ხელი არ შეუშლია, ნუ თუ გამგეობას ნება არ აქვს მოსამსახურეების მოწვევის მაგრამ კარგი იყო ფარდა აეხადა საბჭოსთვის და ეთქო, რომ რამ აიძულა გამგეობა, რომ მოეწვია. როდესაც მოსამსახურეების საბჭომ შეადგინა ფაქტიურათ ხარჯთ აღრიცხვა და წარუდგინა მოსამსახურეების კრებას, რითაც კრებას არწმუნებდნენ, რომ მოსამსახურეებს წარედგინათ მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ, რადგანაც საზოგადოებას დღეში 800 მანეთი წმინდა მოგება რჩებაო. განა ამისთანა საქციელი საბჭოსია არ იყო დასაგმობი, მით უფრო, რომ ბუღალტერის თანაშემწემ შეადგინა ეს ხარჯთ-აღრიცხვა. იქამდინ გამ ჭკვიანები იყვნენ სინამდვილე არ დაენახვებინათ, თვით უფროს ბუღალტერს არ დაეკითხნენ, რაზედაც შეს აფერიაშხანაგური შენიშვნა მისცა თავის დროზე ამხ. ბუღალტერმა. ამ საქციელის შემდეგ გამგეობა იძულებული იყო ნამდვილი ციფრებით წარსდგომოდა მოსამსახურეების კრებას და სინამდვილე გაეცნოთ. და როდესაც მოსამსახურეებმა გაიცნეს საქმის ნამდვილი ვითარება, უკან წაიღეს თავის მოთხოვნილება, ვიდრე საზ. მოლონიერდებოდა. ამასთანავე დემაგოგიური ციფრებით სურდათ ალებათ ბ. პაიჭაძეს და კამპ. გამოსულიყვენენ წევრების საზ. კრებაზე.

4 ბრალდებას, რომლებსაც აყენებენ ეს შტატის გადიდება, არც ეს არის მართალი; თვით რიცხვი მოსამსახურეების ამას არ ამტკიცებს, მართალია იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ ადგილას მოუმატეთ, მაგრამ სამაგიეროთ ბევრ ალაგას დავაკელით.

რაც შეეხება ცხენების და ტაჭკების შეძენას და ამასთან ყოვლად უმგზავსო ტაჩკების, ეს არ არის მართალი, ყველა ჩვენ შეძენილს თავის ღირებულება არ დაჰკარგვია, ყოველთვის საზ. შეუძლიან აანაზღაუროს მათი ღირებულება, დღესაც საჭირონი არიან ეს ტაჭკები, მით უფრო საჭირო იყო, როდესაც გვქონდა 26 განყოფილება და ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ განყოფილებები დაფანტულია მთელ ქალაქში.

რაც შეეხება ეკიპაჟს, რომელიც გამგეობამ შეიძინა, ერთ ცხენიანი, ეს აუცილებელი იყო და საზ. კრებამ ამისთვის გადასდო თანხაც.

თუ მხედველობაში მივიღებთ დღევანდელ ტრამვაის მოძრაობას თითქმის 4 საათობით უხდება ცდა, რომ ადგილი იშოვო. აქ გასაკვირი არაფერია, კიდევ ვიმეორებ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს თავის თავის ღირებულება არ დაჰკარგვია და საზ. ერთ კაპეიკს არ იზარალებს.

5 პუნქტში მოჰყავს ბრალდება, რომ გამგეობამ შემოიღო რაღაც მომაჯადოებელი სისტემა. როგორიც არის მთელი თვის პურის ფულის წინდაწინ გადახდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ განყოფილებებში ნებას არ აძლევდნენ წევრებს პური აეღოთ, ხშირათ ხდებოდა უსიამოვნება, არც არავინ იყო დაინტერესებული ჩაწერილიყო წევრათ. სხვაფრივ კოოპერატივს ეკარგებოდა თავის მნიშვნელობა. ეს სისტემა ერთი მხრით აინტერესებდა წევრებს, მეორე უადვილებდა მოსამსახურეებს პურის აწონას,—არ სჭირდებოდათ ფულის მიღება და ტალონების მოჭრა. ტყუილია, ვითომ განაპირას ყურადღებას არ ვაქცევთ და მარტო მდიდრებისთვის ვცდილობდით. ჯერ ერთი განაპირა უბნებში ცხვებოდა და იყიდებოდა თითქმის ოთხი მეხუთედი მთელი პურის და განყოფილებებიც განაპირას ბევრი გვქონდა, ცენტრში კი 3.

განაპირა უბნებში ვცდილობდით ეს სისტემა გაგვეტარებინა ცხოვრებაში, იქ წევრებს ვაძლევდით საშუალებას მარტო ტალონები წარმოედგინათ და ფული კი ეხადათ ყოველ დღე, მაგრამ უსიამოვნების მეტი არაფერი ხდებოდა. ხშირათ ამისთანა წევრები უპიროთ რჩებოდენ რომელიმე ჯარის კაცის ან სხვა „ამხანაგ ს“ წყალობით, ნებას არ აძლევდენ პური აეღოთ რიგის გარეშე, ბევრგან განაპირა უბნებში სპეციალური საწოლიც კი დავდგით წევრებისთვის.

მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილება ბ. პაიჭაძე, გამგეობის წევრზე იძახის: მუშტი კრივით გამოაგდო ერთი მუშაო. მადლობა ღმერთს, რომ შეურაცხყოფა თვით საბჭოს წევრს მიაყენა იმ მუშამ და არა მე, მე მხოლოდ კლავში წავკიდე ხელი და მოვაშორე, რომ აქეცილებინა უსიამოვნება, რადგანაც მუშა საბჭოს წევრებს ემუქრებოდა სამ დღეში გაგაქრობო. რაც შეეხება კუჩის დათხოვნას, აქაც როდესაც შეურაცხყოფა მიაყენა ფურნის გამგეს თვითონ მოითხოვა ანგარიშის აღება, რასაც ჩვენ დიდი სიამოვნებით შევხვდით, რადგანაც თვითონ გრძნობდა თავის დანაშაულობას.

ბ. პაიჭაძე მარტო ამითი არ კმაყოფილდება და უფრო შორს მიდის და იძახის, რომ პრატეკციას გარდა ნათელ მირონობასაც ჰქონდა ადგილიო. ეს თურმე გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთს მობილიზაციის დროს ვაძლევდით ზედმეტს ანგარიშის გასწორებისას, ხოლო მეორეს არა. მართალია იყო შემთხვევა, როდესაც თვეს უკლდა 3—ან 4 დღე და არ ვუკლებდით, ვაძლევდით სრულათ. როდესაც სომხების ნაციონალურმა საბჭომ გამოაცხადა მობილიზაცია, ბევრი მომუშავეები წავიდნენ ჩვენგნით, ყველა დავკმაყოფილდენ ჯამაგირით, რადგანაც ხედავდენ საზ. მდგომარეობას.

არც საბჭოს ამოუღია ამაზე ხმა, მაგრამ, როდესაც თვით პაიჭაძე გაიწვიეს კატეგორიულათ მოითხოვა ზედმეტი. თანაც პაიჭაძე დასძენს, განა შეიძლება ამისთანა პირობებში მუშაობაო! მართლაც რომ აისთანა საბჭოსთან არ შეიძლება მუშაობა, რასაც ამტკიცებს ზევით მოყვანილი ფაქტები. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ერთმა საბჭოს წევრმა გაიტანა მეტი ავანსათ მიღებული, თავის დროზე გამგეობა მოსთხოვს უკან დაბრუნებას.

ყველა ზევით მოყვანილი ფაქტების გარდა არის კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც წამოაყენეს საბჭოს წევრებმა მოსამსახურეების კრებაზე, ეხლა კი ოფიციალურათ ხმას არ იღებენ. ეს არის ის, ვითომ გამგეობა არჩეული კი არ არის საზ. კრებაზე, არამედ თავიანთ თავი თვითონ აურჩევია, რასაც თავის ნაყოფი გამოიღო. მოსამსახურეებმა გამგეობას ალმაცერათ დაუწყეს ცქერა და მეორეც საბჭოს მისცეს უფლება მოეწვიათ საზ. კრება წევრების. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კრებაზე გაურბოდენ იმისთანა მოსამსახურების მოწვევას, რომლებიც ხელს შეუშლიდენ კრებაზე ამისთანა რეზოლიუციების გამოტანას. იმედია მეორე ნაწილი მოსამსახურეების ამის შესახებ თავის ხმას აიმაღლებენ.

როდესაც ზოგიერთმა მოსამსახურეებმა პროტესტი განაცხადეს, ბ. პაიჭაძემ უპასუხა: ხელს შეგვიშლიდით და ამიტომ არ მიგიწვიეთო.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა საბჭოს მოქმედების შესახებ, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფაქტების შემდეგ დეე თვით მკითხველმა გაარჩიოს ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

დ. კახელაძე.

## ქართული უნივერსიტეტი

ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ შემოსწირეს: ადამ ივანეს ძე ფურაქაშვილმა შემოსწირა განსვ. დ. ზ. სარაჯიშვილის ძვირფასი წიგნთ-საცავი და აგრეთვე ძვირფასი შკაფები ამ წიგნთ-საცავისთვის; მაღლაკის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობისაგან თხუთმეტი თუმ. (150 მან.); ქუთაისის პირველ ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა შორის მოწ. ა. ბრეგაძის თაოსნობით შეგროვილი სამი თუმ. (30 მან.); ტაშკენტის ქართველთა საზოგადოებისაგან (გამოგზავნა გამგეობის წევრმა გ. საყვარელიძემ) ათასი მან. (1000 მან.); ჩხიკვაძისაგან ექვსას სამოცდაცხრა მან. და 50 კაპ. (669 მ. 50 კ.); მოლითის საკრედიტო ამხანაგობისაგან თხუთმეტი თუმ. (150 მ.) კლავდია ლუარსაბის ასულის გაბუნიასაგან განსვ. ნადეჟდა სახოკიას სახსოვრათ ოცი მან. (20 მან.); ქ-ნ ბარბარე ყიფიანისაგან საკუთარი და მისი ნაშრომების შესახებ კრიტიკული ნაწარმოებნი 28 წიგნი და ჟურნალი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ისპანიურ, ესპერანტოზე და ქართულ ენაზე.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა ღრმის მადლობის მოახსენებს შემომწირველთ.


მარტის 20 გაიხსნა ახალი

**სამკურნალო**

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავადმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ. (24—16)

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან სახაშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაჟთლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.


... სტამბა ..., № 1